პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
სამშაბათი
9 იანვარი
№ 7 (17352)
ფასი 2 კაპ.

მწყობრი რიტმი, სწრაფი ტემპები!

ინიციატორის მაგალითით

სოხუმი. (საკ. კორ.). „ხუთწლედის ოთხი წლის დავალება — 10 დეკემბრისათვის!“ — ასეთი დევიზით დაიწყეს მუშაობა ახალი წლის პირველი დღეებიდან ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მშრომელებმა. შარშან გეგმის გადამეტებით აქ დაამზადეს 104 ათასი მანთის პროდუქცია. საწარმოს კოლექტივმა, მხარი დაუჭირა რა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, თბილისელი გამომკვეთის ვ. ჩიმნისთაველის ინიციატივას, მარშან 60 ათასი კვადრატული დეციმეტრი რბილი ტყავ-საქონელი, 420 ათასი კვადრატული დეციმეტრი ტყავ-შემცვლელი და 22 ათასი კვადრატული დეციმეტრი მაგარი ტყავ-საქონელი დაზოგა.

კომბინატმა ახალი წლის პირველი სამუშაო დღის გეგმით გათვალისწინებული 31 400 მანეთის ნაცვლად გამოუშვა 33 ათასი მანეთის პროდუქცია. სავაჭრო ორგანიზაციებმა 7 300 წყვილი ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლის ნაცვლად 8 ათასი წყვილი ფეხსაცმელი მიიღეს.

პირველ დღეს მაღალნაყოფიერად იშრომეს იმ საამქროებმა, რომლებსაც ა. ცქვიტავა და კ. კარაევი ხელმძღვანელობენ.

კომბინატის კოლექტივი წელს ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლის ორი ახალი მოდელის გამოშვებას აითვისებს, მნიშვნელოვნად გაზრდის წარმოების მოცულობას, ხოლო ხარისხისნიშნიანი ფეხსაცმლის გამოშვებას 5 პროცენტით გაადიდებს.

უარშანდელი დამკვრელური წლის მიწურულს კიდევ ერთ ახალ სახახელო შრომითს წარმატებას მიაღწიეს ენგურჰესელებმა — გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით მწყობრში ჩადგა მესამე აგრეგატი, რითაც დამთავრდა ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგის მშენებლობა.

ახალი, 1979 წელი ახალი შრომითი შემართებით დაიწყო ენგურჰესზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებით აღფრთოვანებულ ჰიდრომშენებლებს წელს გადაწყვეტილი აქვთ დაგეგმილზე ერთი წლით ადრე აამოქმედონ ორი უკანასკნელი — მეოთხე და მეხუთე აგრეგატები. წლის დამლევისათვის ენგურჰესი მთლიანად შეავა მწყობრში და მისი სიმძლავრე დაგეგმილ მილიონ 300 ათას კილოვატს მიაღწევს.

სურათზე: ენგურჰესის მოწინავე ჰიდრომშენებლები (მარცხნიდან): მებეტონეთა ბრიგადირი კ. აკობია, მეშონტაჟე ხუროლ. აგაია და კლდემცოცავი რ. ნემსიწვერიძე.

ი. ჭოხონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კონკრეტულობისა და ოპერატიულობის მაქსიმუმი

ოცა ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა შესრულებისათვის პარტიის მთავარ მიმართულებებს განსაზღვრავდა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის გამოსვლაში პარტიული ორგანიზაციების უყურადღება მიაპყრო მასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანებს.

ეს გასაგებიც არის. დღეს საბჭოთა ადამიანი განსაკუთრებით აქტიური და პოლიტიკურად განწყვალულია, იგი კანონიერად უყენებს მაღალ მოთხოვნებს იდეოლოგიურ ფრონტს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომლებსაც ჩვენი დიადი გეგმების, დიადი მიზნების პროპაგანდის, მათი შესრულების იდეური საფუძვლების მომზადების დიდმნიშვნელოვანი საქმე აკისრიათ.

დიდი ლენინი გვასწავლიდა, ეკონომიკა ყველაზე საინტერესო პოლიტიკაა. ბელადის ამ დებულებით განუხრელად ხელმძღვანელობენ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, რომელთა დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მეოთხეთი უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ყველა უბანზე. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკაში სულ უფრო მეტად შეიჭრა პოლიტიკა. გაძლიერდა მასებზე იდეოლოგიური სამსახურის იდეურ-ზნეობრივი ზემოქმედება და ამის შესაბამისად კიდევ უფრო ამაღლდა მშრომელი ადამიანის შეგნება, კომუნისტური მრწამსი და რწმენა.

ამ გარემოებას ხაზი გაესვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთოთხმეტე პლენუმზე. სადაც დაბეჯითებით ითქვა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რეპუბლიკაში მოპოვებული შრომითი გამარჯვებები მარტოოდენ წარმოების მართვის სისტემის სრულყოფაში მომზადარი დადებითი ძვრების შედეგი როდია, არამედ მასების გაზრდილი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ნაყოფიც არის, რომ ჩვენი მუშათა ელასი, კოლმეურნე გლეხობა, შემოქმედებითი ინტელიგენცია უფრო შემოქმედებითად, ინიციატივით ეკიდება ყოველ უბანზე მინდობილ საქმეს.

მაგრამ ამასთან ერთად, აღინიშნა პლენუმზე, ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ სრული ეფექტანობით რეპუბლიკის ძლიერ, კვალიფიციურ პროპაგანდისტულ ამარატს. იგრძნობა პრინციპული, მნიშვნელოვანი გამოსვლების ნაკლებობა, რომლებიც საბეურნეო და სოციალური ცხოვრების მომწიფებულ პრობლემებს შეეხება. ყოველთვის სწრაფად და ფართოდ ვერ ვრცელდება ყოველივე ახალი და პროგრესული, ყველა შრომითს კოლექტივში არ არის შექმნილი შემოქმედებითი მუშაობის ისეთი ატმოსფერო, რომელშიც თითოეული მუშაკი იგრძნობდა სრულ პასუხისმგებლობას როგორც თავისი, ისე მთლიანად კოლექტივის შრომის შედეგებისათვის.

ცხოვრება წინ მიდის, ამოცანები რთულდება და მიღწეული დონე უკვე აღარ არის საკმარისი, ხოლო ხარვეზებმა და ჩამორჩენამ იდეოლოგიურ მუშაობაში შეიძლება დიდი ზიანი მოგვაყენოს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მოცემული პრინციპული მითითებების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა დასახა ყველგან, ყველა რგოლში იდეოლოგიური და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ მთელი თავიანთი ორგანიზატორული მუშაობა მოახმარონ იმის ზუსტ და კონკრეტულ განსაზღვრას, თუ რა უნდა გაკეთის თითოეულმა კომუნისტმა, თითოეულმა მშრომელმა, თითოეულმა კოლექტივმა ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების ხორცშესხმისათვის.

იდეოლოგიური მუშაობის ამ ახალ ეტაპზე ამოცანა ის არის, რომ ახლებურად ვავლენდეთ და გადავჭრით აღმოვფხვრიდეთ ნაკლოვანებებს ყველა რგოლისა და ქვედანაყოფის მუშაობაში იმ საფუძველზე, რომ ფართოდ განვავითაროთ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, ავამაღლოთ კომუნისტების, ყველა მშრომელის პოლიტიკური აქტიურობა, ხელმძღვანელებს ჩავუნერგოთ ნამდვილი მებრძოლური თვისებები, შეურიგებლობა დარღვევებისადმი, დადგენილი ნორმებიდან ყოველგვარი გადახრისადმი. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ იდეოლოგიურ მუშაობაში მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი კადრები, სისტემატურ პრაქტიკად გადაქცეთ მათი გამოსვლები მოხსენებებით, აგრეთვე საუბარ-ანგარიშებით მშრომელთა აუდიტორიის წინაშე.

პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყურადღებით და დეტალურად უნდა გაერკვნენ, თუ პარტიული, სამეურნეო და საზოგადოებრივი მუშაობის რა გამოცდილებით უნდა შეიარაღდნენ, დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამ გამოცდილების პროპაგანდას და დანერგვას, ამასთან თავიანთი პრაქტიკიდან ამოიღონ მუშაობის მოძველებული ფორმები და მეთოდები, რომლებიც აფერხებენ ჩვენს წინსვლას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ამ მოთხოვნის შესასრულებლად აუცილებელია სისტემატურად და ჯეროვან მეცნიერულ დონეზე შევისწავლოთ საზოგადოებრივი პოზიციები რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკური, კულტურულ-აღმზრდელობით, სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების საკვანძო პრობლემებზე, ღრმად განალიზდეს ამ მხრივ გაწეული მუშაობის შედეგები, რომ შეეძლოთ გავაღრმაოთ პარტიული ორგანიზაციების, ხელმძღვანელი ორგანოების კავშირურთიერთობა მშრომელებთან და ჩამოვაყალიბოთ საზოგადოებრივი შეგნება სოციალისტური საერთო ცხოვრების პრინციპების, ნორმებისა და კომუნისტური ზნეობრივი დებულებების საფუძველზე.

ყოველი საქმის ცენტრში ადამიანი დგას და ყოველი წარმატებაც უწინარეს ყოვლისა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ამ ადამიანის შეგნება, მისი ცხოვრებისეული პოზიცია, პოლიტიკური მომზადება და მობილიზების დონე. ამიტომაც არის, რომ დღეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის აღზრდას, აღზრდისადმი კომპლექსურ მიდგომას, შრომითი, იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ურთიერთობის უზრუნველყოფას და საერთოდ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის საყოველთაო და განუხრელ ამაღლებას.

აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის კარგი გამოცდილება შეიძინეს ქუთაისის, რუსთავის, თბილისის პირველი მაისის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შექმნილი აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის სტატისტიკური ცენტრების ღრმა, დასაბუთებული რეკომენდაციებით შეიარაღებულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველა უბანზე აამაღლეს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი და ეფექტიანობა, უზრუნველყვეს შრომითი, იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ურთიერთობა, რითაც უფრო ქმედითი გახდა სოციალისტური შეჯიბრება, გაიზარდა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, განმტკიცდა სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინა — საქმით შეისხა ხორცი შეჯიბრების დევიზმა — არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!

კარგია, რომ ბევრმა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ პირველი მტკიცე ნაბიჯები უკვე გადადგა ამ გამოცდილების დანერგვის მიმართულებით. მეტად სასიხარულოა ისიც, რომ ბევრგან არათუ ღრმა და მრავალფეროვანი გახდა აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის ფორმები და მეთოდები, არამედ ვისწავლეთ კიდეც ამ პროცესის მართვა და სწორი ორგანიზება.

მაგრამ ამასთან ერთად უჩამორჩენილებიდ მუშაობის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ამ კარგმა გამოცდილებამ ჯერ კიდევ ყველგან როდი პოვა სათანადო გავრცელება და მხარდაჭერა. სამეურნეო საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებული ზოგიერთი ხარვეზი, ნაკლი და ჩამორჩენა სწორედ იმის შედეგია, რომ ყველგან და მთლიანად ვერ მივაღწიეთ სადღეისო და მომავლის ამოცანების უზრუნველსაყოფად შესაფერისი იდეოლოგიური მუშაობის დონეს.

ცალკეული პარტიული ორგანიზაციები მთელი გულისყურით არ მოეკიდნენ, მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებულ და განზოგადებულ ორსკის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილებას — სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფის და აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის შესახებ.

ნაწილობრივ დავიწყებას მიეცა აგრეთვე მთელი რიგი მნიშვნელოვანი წამოწყებები. როგორიც არის, მაგალითად, მოძრაობა „პროპაგანდისტის ცოდნა, იდეური რწმენა და ორგანიზატორული ნიჭი — ხუთწლედის სამსახურში“, „ჩვენი პატაკებით გავამდიდროთ „ლენინური რვეულები“ და სხვ.

არ უნდა დავივიწყოდეს, რომ ასეთი შეჯიბრებების ფართოდ გავრცელებას დიდი პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ცალკეულმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კი ჯერაც ვერ მიაღწიეს იმას, რომ ყველა კოლექტივში იყოს „ლენინური რვეულები“, რომლებიც, მაგალითად, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში მრეწველობის მშრომელთა არა მარტო შეჯიბრების შედეგების შეჯამების შესანიშნავ ფორმად, არამედ მშრომელთა რწმენის, პირადი პასუხისმგებლობის, იდეურ-პოლიტიკური შეგნების, მინდობილი საქმისადმი კომუნისტური დამოკიდებულების და საერთოდ აღზრდის საზომად იქცა.

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნს „ყამირის“. მისი ღრმა შინაარსი, ბოლშევიკური მგზნებარება თითოეულ საბჭოთა ადამიანში ზრდის და ავითარებს სამშობლოსა და დიდი ლენინის ანდერძისადმი უსაზღვრო ერთგულებას გრძნობას, მოგვიწოდებს შემოქმედებითად ავითვისოთ და გამოვიყენოთ პარტიის გამოცდილება, გვასწავლის, როგორ მივუდგეთ მეცნიერულად და როგორ გადავწყვეტოთ თანამიმდევრულად პრაქტიკული საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემები. დამჯერებელი მაგალითებით არის ნაჩვენები პარტიული მუშაობის ლენინური სტილის ნიშნები — კოლექტიური ხელმძღვანელობა, მასებთან მჭიდრო კავშირი, ვითარების ზუსტი შეფასება, მოვლენებისა და პროცესების ჯაჭვში გადამწყვეტი რგოლის გამოყოფის უნარი.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ახალი წლისათვის სახელმძღვანელოდ მიიღეს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრების რეკომენდაციები — ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ყამირის“ მიხედვით იდეოლოგიურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფისათვის. ახლა ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება ეფექტიანად, სრულად გამოვიყენოთ ისინი ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობაში, რომლის ერთადერთი მიზანია კიდევ უფრო განვუმტკიცოთ ადამიანებს მაღალი კომუნისტური რწმენა.

ამ მხრივ ჩვენი მუშაობაც სულ უფრო მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს, გვითვალისწინოთ ადამიანთა ინდივიდუალური თვისებები და მიდრეკილებები და ამის მიხედვით ვეძებოთ ზემოქმედების ოპტიმალური ფორმები და მეთოდები.

პარტია გვასწავლის, მოითხოვს, გვავალებს, რომ იდეოლოგიურ მუშაობაში არ არსებობს და არც შეიძლება იყოს ეგრეთ წოდებული „წვრილმანები“, ყოველი ღონისძიება, ყოველი გამოსვლა, ყოველი წამოწყება ღრმად უნდა იყოს გააზრებული დამჯერებელი ფაქტებით და განმტკიცებული დამჯერებელი არგუმენტებით. მშრომელებთან იდეურ-აღმზრდელობითი, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ისევე როგორც მთელი ჩვენი სამეურნეო, ორგანიზატორული საქმიანობა უნდა შეიესაბამებოდეს ლენინურ მოთხოვნას — საქმიანობის კონკრეტულობის, ოპერატიულობის მაქსიმუმის!

1979 წელი ხუთწლედის მეოთხე, გადამწყვეტი წელი, სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებისათვის მზადების წელია. ხუთწლედის ეს პასუხსაგები პერიოდი ჩვენს პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, იდეოლოგიურ ინსტიტუტებსა და ქვეგანაყოფებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ავალებს ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ თვისებრივად ახალ, მაღალ დონეზე ავიყვანონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი და ეფექტიანობა ჩვენი ეკონომიკური პოტენციალის ზრდის, სახალხო მეურნეობის დინამიკური განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დიადი გეგმებისა და ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის. პროპაგანდა, სწავლა და აღზრდა რაც შეიძლება ეფექტიანად უნდა შევუხამოთ საქმიანობის სრულყოფის, შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, ხაზარმოო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი საქმეების მართვაში მშრომელთა ჩაბმის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ხუთწლედის დიად გეგმებს — სრული იდეოლოგიური უზრუნველყოფა! — ასეთია იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა სადღეისო საპატიო ამოცანა.

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

ხალხის კანდიდატები

1979 4 მარტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნების დღეს!

გრძელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში წინასაარჩევნო კრებები. მათი მონაწილენი აცხადებენ, რომ უსაზღვროდ უპირველ მხარს კომუნისტური პარტიის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამრავლონ წვლილი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის დავალებების შესრულებაში.

ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან ალტაის მხარის სლავგოროდის რაიონის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მწყვეტი **ლიდია ანტონის ასული კრეცი**, ქრასნოდარის მხარის კანევსკის რაიონის კოლმეურნეობა „პობედას“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ვადიმ თეოდორეს ძე რეზნიკოვი**, ლენინური კომკავშირის სახელობის კომბლეკსური ბრიგადის ბრიგადირი (ხაბაროვსკის ოლქი) **იური ტიმოთეს ძე პოჩეჩუევი**, ბელგოროდის ოლქის ალექსეევკის რაიონის კოლმეურნეობა „როდინა“ საძროსასაქონლო ფერმის გამგე **ნინო ივანეს ასული გოლდინოვა**, „ანგარსკნავთობორგსინთეზის“ გაზის ქარხნის (ირკუტსკის ოლქი) ერთერთი საუკეთესო მუშა **ტატიანა პავლეს ასული შჩრბაკოვა**, გზათა მინისტრი **ივანე გრიგოლის ძე პავლოვსკი**, ეუიბაშევის საავიაციო ქარხნის მოწინავე მუშა **ვერა ვალენტინის ასული მიასოედოვა**.

პა**რ**ტ**ი**ი**ს** და **ხ**ალ**ხ**ის **ერ**თ**ი**ა**ნ**ობ**ის, **საყ**ო**ველ**თ**აო** **აღ**ფ**რ**თ**ოვ**ა**ნ**ების **ვ**ი**თ**ა**რ**ებ**ა**ში **რ**ეს**პ**უ**ბ**ლ**იკ**ა**ში, **ი**ს**ევ**ე **რ**ო**გ**ორ**ც **მ**თ**ელ** **ქ**ვ**ეყ**ა**ნ**ა**ში, **გ**რ**ძ**ელ**დ**ებ**ა **ი**მ**შ**რ**ომ**ელ**თ**ა **წ**ინ**ა**სა**ა**რ**ჩ**ევ**ნ**ო **კ**რ**ებ**ებ**ი, **რ**ომ**ლ**ებ**ზ**ე **ა**ს**ახ**ელ**ებ**ენ **ს**ს**რ** **კ**ავ**შ**ირ**ის** **მ**ეათ**ე** **მ**ოწ**ვ**ევ**ის** **უ**მ**აღ**ლ**ეს** **ს**აბ**ჭ**ოს **დ**ეპ**უ**ტ**ა**ტ**ო**ბ**ის** **კ**ან**დ**ი**დ**ატ**ებ**ს.

ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირის, კომუნისტური შრომის დამკვრელის რ. გ. ჭყონიას წინადადებით ფოთის ჰიდრომექანიზაციის მარქანათსაშენებელი ქარხნის წინასაარჩევნო კრებაზე დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 668 ფოთის საარჩევნო ოლქში ამ ქარხნის მოწინავე მემონტაჟე ზეინკალი, სრულიად საკავშირო აღკკ წევრი **დემურ იროდის ძე ფოჩხუა**.

ონამჰირის რაიონის მერკულის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გამართულ წინასაარჩევნო კრებზე მისმა მონაწილეებმა ერთხმად დაადგინეს: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 181 ონამჰირის საარჩევნო ოლქში დაასახელონ აფხაზეთის სახალხო პოეტი **ბაგრატ ვასილის ძე შინკუბა**.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ნინო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი** ერთხმად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 498 ქობულეთის საარჩევნო ოლქში ქობულეთის რაიონის ალამბარის მეცატრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა საერთო კრებაზე.

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე ერთხმად მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ № 667 ქუთაისის საარჩევნო ოლქში გაერთიანების სართავი წარმოების მოწინავე მქსოველი **ციური მიხეილის ასული დეკანოიძე**. (საქინფორმი).

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქა**რ**თ**ვ**ე**ლ**ო**ს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირი, რომელზეც განხილულ ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსამზადებელი და ჩამტარებელი საოლქო საარჩევნო კომისიების კონკრეტული ამოცანების შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხთა განყოფილების გამგემ მ. პ. ბაღათურიამ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ყველა იმ პრაქტიკული რეკომენდაციის დროული განხორციელება, რომლებსაც შეიცავს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წერილი ყველა საოლქო საარჩევნო კომისიისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო კამპანიის ყველა ეტაპზე საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობაში სიზუსტის უზრუნველყოფას. მათ მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ საუბნო საარჩევნო კომისიებთან.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული განყოფილების გამგემ ს. ე. ხაბეიშვილმა. მან აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები ზუსტად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კანონის შესაბამისად მაღალ ორგანიზებულ და პოლიტიკურ დონეზე მთელი საარჩევნო კამპანიის მოწყობაში. (საქინფორმი).

საერთო-სახალხო საქმე

როცა ყინვამ იმძლავრა

მეციტრუსეობის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყველაფერი უნდა იღონონ ყინვისაგან ციტრუსების დასაცავად

ძლიერ გაცივებული ჰაერის მასებმა, რომლებიც არქტიკიდან ევროპაში მძლავრმა ანტიციკლონმა მოიტანა, კატასტროფული აცივება გამოიწვია ევროპის მეტ ნაწილში, 1979 წლის 2 იანვარს მოაღწია კავკასიის შავი ზღვის სანაპიროს და გავრცელება იწყო ამიერკავკასიაში.

6 იანვარს შემოჭრილმა ცივი ჰაერის დამატებითმა მასებმა უხვი თოვა გამოიწვია დასავლეთ საქართველოში. აქ თითქმის ყველგან თოვლი დადო.

შემდეგ 8 იანვარს ღამით ცა მოიწმინდა, რამაც გამოიწვია ჰაერის დედამიწისპირა შრეების ძლიერი გაცივება, რის შედეგადაც ჰაერის ტემპერატურა აფხაზეთსა და კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში მინუს 6-8 გრადუსამდე დაეცა.

უახლოეს დღე-ღამეში ამიერკავკასიაში, კერძოდ შავი ზღვის სანაპიროზე, ცივი ამინდი იქნება. ჰაერის ტემპერატურა ღამით ალაგ-ალაგ მინუს 7-9 გრადუსამდე დაიწევს.

თ. თურმანიძე,
საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსი.

აფხაზეთში

აფხ**ა**ზ**ე**თ**ი**ს, სადაც ჯერ კიდევ აწლახანს, თბილი ამინდები იყო, უეცრად ცივი ზამთარი დადგა. საგანგაშო მდგომარეობა შეექმნა ციტრუსის ბაღებს. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შექმნეს ყინვისა და თოვლისაგან ციტრუსების დაცვის შტაბი, ასევითვე შტაბები შექმნილია პარტიის სოხუმის, გულრიფშის, გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიკომებთან და გაგრის საქალაქო კომიტეტთან.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სამეცნიერო დაწესებულებების, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სპეციალისტები გაემგზავრნენ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც ციტრუსის ბაღებია, რათა მეციტრუსეებს პრაქტიკული დახმარება გაუწიონ. ისინი ბრიგადებში ყინვისაგან მცენარეთა დაცვის ინსტრუქციებს ატარებენ, ასწავლიან ხალხს სიცივესთან ბრძოლის მეთოდებს და ციტრუსის ბაღების დაცვის აგროტექნიკას.

ყინვისა და თოვლისაგან ციტრუსის ბაღების დაცვის სპეციალური ბრიგადებია შექმნილი ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. აქ დაწესებულია აგრონომებისა და აგროტექნიკოსების სადღეღამისო მორიგეობა. ადგილებზე ამ მუშაობას სათავეში უდგანან კოლმეურნეობების თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები. სოფლის აქტივისა და დეპუტატთა დახმარებით ყველგან ეწყობა ციტრუსის ბაღების დაცვის მოსამზადებელი სამუშაოები. მომზადებულია საკამელი კოჭები და სხვადასხვა მასალა, რომლებსაც ღამ-ღამობით წვავენ ციტრუსის ბაღებში თბილი ტემპერატურული რეჟიმის შექმნისათვის.

კარგად მომზადებული შეხვდნენ ყინვებს ქალაქ გაგრის ხონის მეციტრუსეები. გორელ მებაღეთა მაგალითისამებრ, რომლებმაც 1977 წელს კვამლის საშუალებით შეძლეს დიდ ფართობზე რამდენიმე გრაფლესით ამამლებინათ ტემპერატურა და ეხსნათ ბაღები ყინვებისაგან, გაგრელმა მეციტრუსეებმა მოამზადეს საკვამლე კოჭები და საწვავი ნივთიერებანი.

მაგრამ ზამთარმა მაინც ალაგ-ალაგ მეციტრუსეებს მოუმზადებლებს მოუსწრო. საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სასწავლო მეურნეობა „ეშერაში“. აქ შეუწყნარებლად გაჭიანურდა ციტრუსის მოსავლის კრეფა და ბაღები ზამთრისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. სოხუმის, ოჩამჩირისა და გალის რაიონების მთელ რიგ მეურნეობებში არ დამთავრებულა მეცნარეთა შეფუთვის სამუშაოები. ლიმონები ყვავლან რიღია გადასხურული სპეციალური ქსოვილით, თუმცა სოფლტექნიკის სასწავლო-საწარმოო კომბინატის საწყობებში საკმარისი რაოდენობითაა ეს მასალა. სინოპტიკოსთა პროგნოზები ჯერჯერობით სანუგეშო არ არის. ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ აფხაზეთის ციტრუსის ბაღები დავიცვათ ყინვებისა და შესაძლო თოვლისაგან. (საქინფორმი).

აჭარაში

საქა**რ**თ**ვ**ე**ლ**ო**ს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პაპუნიძემ** ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

აჭარის მეციტრუსეებმა სულ ახლახან დაამთავრეს ნარინჯოვანთა კრეფა. 97.000 ტონაზე მეტი ოქროსფერი ნაყოფი მიჰყიდეს სახელმწიფოს, რითაც გეგმა-ვალდებულება გადამეტებით შეასრულეს. აღსანიშნავია, რომ ციტრუსის ნარგავების მოვლა-პატრონობა და ნაყოფის კრეფა ხშირად ავდარში მიმდინარეობდა, ამიტომაც ასე გაგრძელდა კრეფა.

ნარინჯოვანთა კრეფის პარალელურად ბაღებში შეგვეძინდა სასუქები, ძირებზე მიწა შემოვუყარეთ. კრეფის დამთავრებისთანავე ზღვისპირეთში აცივდა და ნარგავები მოყინვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. სასწრაფოდ შეკმენით საოლქო შტაბი. შტაბები შეიქმნა აგრეთვე პარტიის რაიონულ კომიტეტთან. შტაბის წევრები ადგილებზე ჩავიდნენ, ბაღები დაათვალიერეს და კონკრეტული სამეკმედო გეგმაც შედგენილია. ამ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს ციტრუსოვანთა ყინვისაგან დაცვის სამუშაოები.

აჭარაში საზოგადოებრივ და საკარმიდამო მეურნეობაში 7.400 ჰექტარი ციტრუსის ბაღებია. ამ დიდ ფართობზე ნარგავების საკმაო ნაწილი ახალგაზრდაა. ამიტომ იყო, რომ პირველ რიგში ნორჩ ნარგავებს მივაქციეთ უურადღება, დამთავრდა ახვევა და შეფუთვა; ახლა ლიმონის შეფუთვას ვამთავრებთ.

ყინვისაგან დაცვის ღონისძიებებში დიდი მნიშვნელობა აქვს ბაღებში დაბოლებას, ამისათვის ბაღებში საბურავები, ნახერხი და ნამჯა მივზიდეთ. საზოგად

სრულყოფენ ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს

აჭარის საოლქო პარტიული კონფერენცია

ბათუმი, 8 იანვარი. (საქინფორმის კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმისა და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში დასახული ამოცანების შესაბამისად განალიზეს აქ გამართული საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაციის კონფერენციის დელეგატებმა ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა. საოლქო კომიტეტის მუშაობის შესახებ ანგარიში გააკეთა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. რ. პაპუნიძემ.

განვლილი სამი წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო აჭარის ასს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ეს წლები შესანიშნავი მიღწევებით აღინიშნა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. მრეწველობა აჩქარებდა წარმოების ტემპს. მეათე ხუთწლედში ავტონომიურმა რესპუბლიკამ უნდა გამოუშვას 50 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. საანგარიშო პერიოდში ეს ვალდებულება რეალიზებულია 61,8 პროცენტით. მკვეთრად გაზარდა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვების ხვედრითი წილი. სამი წლის განძილზე იგი 9,5-დან 17 პროცენტამდე გადიდდა. საგულისხმოა, რომ ხარისხის უმაღლესი კატეგორია ძირითადად მიენიჭა ისეთი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციას, როგორც არის ელექტროენერგია, მანქანები კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის, ნავთობპროდუქტები, ელექტრონულსაწყობები. თითქმის ოც საწარმოში წარმატებით ინერგება ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა. კარგი ნაყოფი გამოიღო ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, რომელიც დაიწყო ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ და ელექტრომექანიკურ ქარხნებში.

აღმავლობის გზაზე დგას აჭარის სოფლის მეურნეობაც. შესამჩნევად განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საანგარიშო პერიოდში 1971-1973 წლებთან შედარებით მოკრეფილი და სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ჩაის ფოთლის მთლიანი რაოდენობა 27 ათასი ტონით გაიზარდა, ხოლო ჰექტარობრივი მოსავლიანობა — 1.568 კილოგრამით. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ავტონომიური რესპუბლიკის მეჩაიეებმა გასულ წელს. მათ მოკრიფეს 58.261 ტონა ნედლეული, ამასთან ჰექტარობრივი მოსავლიანობა წელიწადში 217 კილოგრამით გაიზარდა და ხუთწლედის მესამე წელს 7.785 კილოგრამი შეადგინა. აჭარელ მეჩაიეებს ასეთი წარმატება ჯერ არასოდეს არ მოუპოვებიათ. უხვ სტაბილურ მოსავალს მოიწევენ მეციტრუსეები. მათ დაძლიეს ხუთწლედის დამლევისათვის დასახული ციტრუსების წარმოების მიჯნა.

ჯეროვნად შეაფასეს რა მიღწეული წარმატებანი, კონფერენციის დელეგატებმა ყურადღება დაუთმეს სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებებს, ხარვეზებსა და გადაუწყვეტელ პრობლემებს. ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია საგვემო დისციპლინის დარღვევა. აღმოფხვრილი არ არის შემცირების თვალსაზრისით გეგმების შესწორების მანკიერი პრაქტიკა. ზოგიერთი ხელმძღვანელი იმის ნაცვლად, რომ დარაზმოს შრომითი კოლექტივები მაღალი მიჯნების მისაღწევად, ცდილობს გეგმების შემცირებას, პროდუქციის ძირითადი ნაწილის გამოშვება გადააქვს მეოთხე კვარტალისათვის, წლის უკანასკნელი თვისათვის და, ბუნებრივია, ვერ ასრულებს დავალებებს. შარშან ასე მოიქცნენ 15 საწარმოს ხელმძღვანელები, წლის ბოლოს კი 14 მათგანმა ზემდგომ ინსტანციებს პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 6,9 მილიონი მანეთით შეამცირებინა.

კონფერენციამ პარტიულ კომიტეტებსა და სამეურნეო ორგანოებს დაუსახა ამოცანა: ხუთწლედის დამლევამდე მიაღწიონ წარმოების მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას. მარტო 1979 წელს შარშანდელთან შედარებით იგი 7,5 პროცენტით გაიზრდება გეგმით გათვალისწინებული 6,2 პროცენტის ნაცვლად. დასახულია ერთიორად გაიზარდოს ხარისხის-ნიშნიანი პროდუქციის გამოშვება.

ასეთი დონის მიღწევა, ხაზგასმით აღინიშნეს კამათის მონაწილეებმა — პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ვ. მანჯგალაძემ, ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის მუშამ ვ. ა. მაიბოროდამ, აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ შ. მ. ოქროპირიძემ, ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. უ. ცეცხლაძემ, შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ საწარმოებში უზრუნველყოფილი იქნება მაღალი ორგანიზებულობა და წესრიგი, ამაღლდება კადრების პერსონალური პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, თუ ფართოდ გაიშლება შეჯიბრება.

ხუთწლედის მესამე დამკვრელურ წელს შეჯიბრება აჭარის შრომითს კოლექტივებში ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. გაღრმავდა მისი შინაარსი, გაფართოვდა ფორმები, ამაღლდა ეფექტიანობა. პარტიული კომიტეტები და პარტიული ორგანიზაციები სრულყოფენ მუშაობის სტილსა და მეთოდებს, იღვწიან წარმოებაში კომუნისტთა ავანგარდული როლის გაძლიერებისათვის.

კონფერენციაზე ითქვა, საჭიროა გაუმჯობესდეს შეჯიბრების ხელმძღვანელობა, გაგრძელდეს მტკიცე და უკომპრომისო ბრძოლა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის გაძლიერებისათვის, სხვადასხვა ნეგატიური მოვლენის წინააღმდეგ.

გამოავლინეს რა სამრეწველო საწარმოებში შეფერხებათა მიზეზები, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. გ. უნგიაძემ, აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ შ. რ. მესხიძემ და სხვებმა თქვეს, რომ ამის მიზეზია ადამიანებთან არასაკმარისი მუშაობა. საწარმოების, მშენებლობების, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელები ამუშავებენ და ამტკიცებენ კარგ კომპლექსურ გეგმებს წარმოების სრულყოფის, კოლექტივების აღზრდის, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ ხშირად ნაკლებად ზრუნავენ მათი განხორციელებისათვის.

შეშფოთებით ილაპარაკეს დელეგატებმა ნაკლოვანებებზე კაპიტალურ მშენებლობაში, რომელიც აჭარაში ჯერ კიდევ სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილი დარგია. სისტემატურად ვერ ასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმებს № 5 საერთო-სამშენებელო ტრესტი, ბათუმის სახლთ-საშენებელი კომბინატი, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 45 მოძრავი მექანიზებული კოლონა და აჭარის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველო. აქ სრულიად არადამაკმაყოფილებელია შრომის ორგანიზაცია, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობაში არის ფორმალიზმის ელემენტები. დაბალია შრომის დისციპლინის დონე.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სატრანსპორტო ორგანიზაციებმა. გასულ წელს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს მეზღვაურებმა ორჯერ გაიმარჯვეს. ბათუმის საზღვაო ნავსადგური, რომელიც შარშან მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის და დაარსების მე-100 წლისთავთან დაკავშირებით ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდა, გამოეხმაურა და ნერგავს ლენინგრადის სატრანსპორტო კვანძის მუშაკთა თაოსნობას, რაც მომიჯნავე სატრანსპორტო ორგანიზაციების ეფექტიან ფორმას წარმოადგენს. მაგრამ, აღინიშნა კონფერენციაზე, მეზღვაურებს მხარი არ აუბეს რკინიგზელებმა. ბათუმის სადგურის კოლექტივმა ვაგონების დატვირთვის გეგმა მხოლოდ 91,1 პროცენტით შეასრულა. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ ჯეროვნად უნდა იზრუნოს ბათუმის სადგურის განვითარებისათვის.

კონფერენციაზე სერიოზული სჯა-ბაასი გაიმართა სოფლის მეურნეობის პრობლემებზე, რომელიც ჰარბობს აჭარის ეკონომიკურ პოტენციალში.

კონფერენციაზე გამოსულთა — საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივნის ბ. ს. ჯიჭიას, პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის მდივნის ს. დ. ინაშვილის, სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობის მეციტრუსეობის ბრიგადის ბრიგადირის მ. რ. მიქელაძის, პარტიის ქედის რაიკომის პირველი მდივნის ა. ნ. თავდგირიძის, ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბარის კოლმეურნეობის მეჩაიის ნ. შ. მიქელაძის, პარტიის ბუთურლინის რაიკომის პირველი მდივნის ნ. მ. ცეცხლაძის, საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომის პირველი მდივნის ნ. ლ. თამაზაშვილის ერთსულოვანი აზრით სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული უდავო წარმატებების მიუხედავად ჯერ კიდევ ყველა რეზერვი არ არის ჩაყენებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამსახურში. ცალკეულ მეურნეობებში მცირეა ჩაის ფოთლის ჰექტარობრივი მოსავლიანობა და დაბალია ხარისხი, ჯერ კიდევ იგრძნობა დისპროპორცია ციტრუსოვანთა მოსავლიანობაში საზოგადოებრივ მეურნეობებსა და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებში, ბევრი რამ უნდა გაკეთდეს მემანდარინეობის, მებოსტნეობის, მეთამბაქოეობის შემდგომი განვითარებისათვის. საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, სამრეწველო საფუძველზე მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსების შექმნისათვის გაწეული მუშაობის მიუხედავად ჩამორჩენა ამ დარგში დაძლეული არ არის, იგი ჯერ კიდევ არარენტაბელურია.

რა საწარმოო საკითხებსაც უნდა შეხებოდნენ დელეგატები, მათი ყურადღების ცენტრში იდგა ადამიანები, მათი აღზრდა. ამ პოზიციებიდან იყო განხილებული პარტიის საოლქო კომიტეტის, ბათუმის საქალაქო კომიტეტის, რაიკომების ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის გამოცდილება.

აჭარის კომუნისტთა კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. ორატორებმა ილაპარაკეს იმ ფასდაუდებელ დახმარებაზე, რომელსაც მუშაობაში უწევს ლენინდ ილიას ბ. ბრეჟნევის თეორიული ნაშრომების, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხები“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“, მისი მოგონებების „მცირე მიწის“, „აღორძინებისა“ და „ყამრის“ შესწავლა. მთელი იდეოლოგიური მუშაობა ავტონომიურ რესპუბლიკაში მიზნად ისახავს მასების შემოქმედებითი და შრომითი აქტიურობის შემდგომ ამაღლებას, სოციალისტური შეჯიბრების გაშლას ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმართქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ზ. ა. პატარიძემ.**

□

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ახლად არჩეული აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი პლენუმი. პარტიის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია **ვ. რ. პაპუნიძე,** მეორე მდივნად — **გ. ე. ჩიგოგიძე,** მდივნად — **ნ. ა. გუგუნავა.**

ეფექტიანობის საზოგადოებრივი ეკონომიკური ეფექტი

პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საქმეს ჩვენს საწარმოში ამ ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. მივაწოდოთ მომხმარებელს მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია! — აი რა შეადგენს დღეს ჩვენი კოლექტივის ყოველდღიური საქმიანობის მთავარ საზრუნავს.

მიმდინარე ეტაპზე ჩვენი საწარმოს თითოეული მუშაკისათვის, —როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, — ერთ-ერთი ძირითადი სახალხო სამეურნეო ამოცანა კვლავ არის სახალხო მეურნეობის საქონლის წარმოების გადიდება, ასორტიმენტის გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება.

ჩვენი პროდუქციის როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, პირველ რიგში, მინდობილი საქმისათვის საწარმოს თითოეული რგოლის მაღალ პასუხისმგებლობასთან და თავდადებულ შრომასთან ერთად, ფაბრიკის ახალი მაღალმწარმოებლური მანქანა-დანადგარებით აღჭურვამაც განაპირობა. მაგალითად, სამკერვალო საამქროების პარკი მთლიანად ახალი საკერავი მანქანებით შეიცვალა, რამაც ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა შეგვექმნა ახალი სპეციალური უბანი, სადაც მხოლოდ ხარისხისნიშნიანი პროდუქცია იკერება.

ყოველივე ამან და მთელმა რიგმა სხვა სწორად წარმართულმა და პრაქტიკულად განხორციელებულმა ორგანიზაციულ-ტექნიკურმა ღონისძიებებმა გასულ წელს შესაძლებლობა მოგვცა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების ხვედრითი წილი საერთო პროდუქციაში გეგმით გათვალისწინებული 5,6 პროცენტის ნაცვლად 26 პროცენტამდე გაგვეზარდა. დამკვრელურ წელს ხარისხის ნიშნით გეგმით გათვალისწინებული მილიონ 500 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 6 მილიონ 147 ათასი მანეთის ზედა ტრიკოტაჟის ნაწარმი. გარდა ამისა დიდი გადაჭარბებით შეესრულეთ სახელმწიფო დავალება ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით მივაწოდეთ 596 ათასი მანეთის პროდუქცია, რითაც მისი რეალიზაციის დავალების 2,6 პროცენტით გადავაჭარბეთ. ზრდის მაჩვენებელმა ამ მხრივ შარშან, წინა საიუბილეო წელთან შედარებით, 11,2 პროცენტი შეადგინა.

მიღწეულ მაღალ საწარმოო მაჩვენებლებში ისევე დიდი როლი შეასრულა ხარისხის მართვის კომპლექსურმა სისტემამ, რომელიც მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით დარგში პირველად ჩვენთან დაინერგა და იგი გასული წლის ბოლოს მიიღო კომისიამ.

აღნიშნული სისტემის დანერგვისადმი საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები ჩვენთან ჯერ კიდევ საიუბილეო წლის ოქტომბერში დაიწყო. ამ პერიოდმა საგრძნობი კვალი დაიჩნია საწარმოს, კიდევ უფრო აამაღლა მისი ტექნიკური დონე და, რაც, მთავარია, მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი ეკონომიკური ეფექტი. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ საწარმოს დღეს არც ერთი არარენტაბელური სახეობა არა აქვს. მარტო 1978 წლის იანვრიდან დღემდე წარმოებაში წლიური გეგმით გათვალისწინებული 35-ის ნაცვლად, 41 ახალი მოდელის ნიმუში შევითვისეთ და დავნერგეთ, რომელთა მიხედვითაც მომხმარებელს უკვე მილიონ 200 ათასამდე ერთეული ნაწარმი მივაწოდეთ. ამრიგად, განახლდა წარმოებაში ჩაშვებული პროდუქციის 40 პროცენტი, „ს“ ინდექსით გამოშვებულია 206 ათასი მანეთის სხვადასხვა ნაწარმი.

მომხმარებელს მოსწონს სპეციალურად ოლიმპიადა-80-ისადმი მიძღვნილი პროდუქცია. ასევე დიდი წარმატება ხვდა ჩვენი მოდელიორების მიერ შექმნილ 12 ნიმუშს, რომლებიც თეირანის საერთაშორისო გამოფენაზე წარვადგინეთ. ამჟამად ჩვენი ფაბრიკის მხატვარ-მოდელიორები ვალენტინა ვლასოვა, შორენა რაზმაძე და ლარისა თურქაძე ლაბორატორიის ხელმძღვანელ ვალენტინა ხოროშკინასთან ერთად ამუშავებენ ახალი მოდელების კომპლექტს ლონდონის საერთაშორისო გამოფენისათვის.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეს ასევე დიდად შეუწყო ხელი ცალკეულ საამქროებსა და უბნებს შორის ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ცნობილი ნოვატორი მეკოპის გ. კურტანიძის თაოსნობამ. ასევე კარგი შედეგი გამოიღო „ხარისხის დღის“ კომისიების შექმნამ, რომლებიც სისტემატურად ჩატარებული რეიდებით კონტროლს უწევენ ფაბრიკაში პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის საქმეს.

ახალი, 1979 წელი უკვე ძალაში შევიდა, ამიტომ ჩვენ აქედანვე ვცდილობთ მეათე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში მოპოვებული წარმატებების განმტკიცებას.

მიმდინარე წლის დავალების რეალიზაციისათვის ბრძოლის საქმეში კოლექტივის მობილიზებას კიდევ უფრო ხელს შეუწყობს სოციალისტური შეჯიბრება დეკემბერ — „ხუთწლედის მეოთხე წლის ყოველ დღეს — ჩვენი დამკვრელური შრომა!“

წელს, როგორც ყოველთვის, ჩვენი მთავარი ამოცანაა ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების შემდგომი გადიდება, რომლის ხვედრითი წილიც საერთო პროდუქციაში მიღწეულ დონესთან შედარებით 4 პროცენტით უნდა გაიზარდოს. სულ მომხმარებელს ჩვენს მიერ გამზადდებულ 7 მილიონ 200 ათასი მანეთის უმაღლესი ხარისხის ნაწარმს მივაწვდით. შრომის ნაყოფიერებას გასულ წელთან შედარებით 1,6 პროცენტით გავზრდით, რის ხარჯზეაც 392 ათასი მანეთის პროდუქციას დავამზადებთ.

მომდინარე წელი, როგორც მოგეხსენებათ, ბავშვთა წელია. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით უნდა მოვეკიდოთ სპეციალურად მათთვის დამზადებული პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საქმეს. ამ მხრივ გარკვეული წარმატებები უკვე გვაქვს. შარშან კოლექტივი გამარჯვებული გამოვიდა კონკურსში დევიზით — „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს“. მომდინარე წლის მთავარი მიზანი სანუნეველია. საგრძნობლად გავაუმჯობესოთ და ესთეტიკურად კიდევ უფრო მიმზიდველი გავხადოთ ჩვენი ჰატარებისათვის განკუთვნილი ნაწარმი, რომლის ხვედრითმა წილმაც წელს საერთო პროდუქციაში 70 პროცენტი უნდა შეადგინოს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა მნიშვნელოვანი ამოცანები დაგვისახა. შეათ ხუთწლედით ჩვენს წინაშე საპასუხისმგებლო ამოცანაა დასახული. 1980 წლისათვის ჩვენს წარმოებაში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა საერთო მოცულობის 60 პროცენტი უნდა შეადგინოს, რაც ჩვენი შემდგომი საქმიანობის მთავარი ორიენტირი გახდება.

თ. პატარიძე.

თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მთავარი ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ვამოწმებთ შესრულებას ● ვაჭროება, მომსახურება, მომხმარებელი

კარებს ურდული ადევს

ალმასკომი და მომსახურების სფერო

ოჩამჩირის რაიონის მშრომელები რესპუბლიკაში ცნობილი არიან როგორც ჩაის, თამბაქოს და სხვა კულტურების უხვი მოსავლის ოსტატები. მაგრამ რაოდენ დასანანია, როცა სოფლის მშრომელთა გამრჯე საქმიანობას ფეხი ვერ აუწყვეს რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაკებმა.

ვერ იტყვი, რომ რაიონში საბანაო ბრუნვას არ იჩენდნენ მოსახლეობის შომსახურების ობიექტების გაფართოებაზე და დაინტერესებული არ იყვნენ მათი ყოველდღიური საქმიანობის გაუმჯობესებით. სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესიებზე, აღმასკომის სხდომებზე განხილება ამ დარგის მუშაობის საკითხები, საჭირო ღონისძიებები და გეგმებიც ისახება, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის ჯეროვანი ორგანიზატორული მუშაობა არ წარმოებს.

ჩვეულებრივ, ოჩამჩირის სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოში შექმნილია ვაჭრობისა და მოსახლეობის მომსახურების საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისია. მის შემადგენლობაში არჩეული არიან დეპუტატები, რომლებიც რაიონის სხვადასხვა სოფელში ცხოვრობენ და მუშაობენ. როგორც ჩანს, ისინი მუდამ საქმის კურსში უნდა იყვნენ, თუ რა დონეზეა სოფლის მშრომელთა მომსახურება.

ალბათ იმის სურვილით, რომ აქ უკეთ წარემართათ მოსახლეობის მომსახურების საწარმოთა საქმიანობა, რაიონული საბჭოს მუდმივმა კომისიამ კარგა ხნის წინათ დაგეგმა ჭლოუს, ოტაფის, რუფის სასოფლო საბჭოებში ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესწავლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად.

მოსალოდნელი იყო, რომ კომისია დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა და თავისი ამ კარგი ჩანაფიქრის განსახორციელებლად ადგილებზე სასოფლო საბჭოების დეპუტატებსა და აქტივს ჩაებამდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მას შემდეგ წელიწადნახევარი გავიდა, ეს საკითხი კი არავის შეუსწავლია და ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა.

ერთი შეხედვით, ოჩამჩირის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს (უფროსი — ვ. ბუთბა) მუშაობაში თითქოსდა ყველაფერი რიგზეა. აქ თითქმის ყოველთვიურად სრულდება სამინისტროს მიერ დამტკიცებული საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო რაიონული გეგმები ფულადი გამოსახულებით. მაგრამ ყოველივე ამას მომსახურების სფეროს მუშაკები რაიონული ცენტრის — ქალაქის მოსახლეობის მომსახურების დავალების გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე აღწევენ. სოფლებში კი საყოფაცხოვრებო მომსახურება მიგიწყვეულია. ჩაშლილია მომსახურება ისეთ სახეობებში, როგორიც არის ფეხსაცმლის შეკეთება და ინდივიდუალური კერვა, ავეჯის შეკეთება და დამზადება, ტრიკოტაჟის შეკეთება, ტანსაცმლის რეცხვა და ქიმიური წმენდა, საპარიკმახეროებისა და აბანოების მომსახურება, ფოტოგრაფირება, სარკეხმო ნივთების გაქირავება და ა. შ.

რაიონის ზოგიერთ სოფელსა და საბჭოთა მეურნეობაში ან სრულებით არ არსებობს მომსახურების სფეროს ობიექტები, ან არსებულ შენობაში თითო-ორორი ხელოსანი თუ მუშაობს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ სოფელ გუფის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი. ამ ორსართულიან, თანამედროვე ტიპის ნაგებობაში 7,5 ათასი ადამიანია მიმაგრებული. ეს ადამიანები ამ ადგილებიდან ოთხმოცი კილომეტრის მანძილზე ცხოვრობენ. ამ ადგილებში ერთადერთი ხელოსანი ცხოვრობს ბ. ბ. ბ. ... ...

საქართველოს ცხოვრება

რუსული კულტურის დღესასწაული

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. (საკდესის კორ.). მრიგანის შტატის დედაქალაქ ლანსინგში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა გამოფენა „მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუსული ხელოვნება", რომელიც შეიცავს რუსული სახელმწიფო მუზეუმის, ერმიტაჟის, ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეის საუკეთესო ტილოებს. ექსპოზიცია ლანსინგში გადმოვიდა მინესოტის შტატის ქალაქ მინიაპოლისიდან, სადაც მისი „დებიუტი" გაიმართა რუსული და საბჭოთა კულტურის ფესტივალის ფარგლებში, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ორ თვეს გრძელდებოდა.

ამერიკელები, განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ქალაქ ლანსინგის ხელოვნების გალერეის დირექტორმა ჯ. იშიკავამ, ცხოველ ინტერესს იჩენენ რუსული კულტურისადმი. ჩვენ სულითა და გულით მადლობელი ვართ საბჭოთა კავშირისა და მშვენიერი გამოფენის მოწყობისთვის, რომელიც ამერიკელ ხალხს ხელს შეუწყობს გაიფართოოს ცოდნა საბჭოთა ხელოვნების შესახებ.

საბჭოთა გამოფენა, აღნიშნა ჯ. იშიკავამ, თვალსაჩინოდ ადასტურებს იმ უპირატესობებს, რომლებიც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრული ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარების შედეგია. იგი, უთუოდ, ხელს შეუწყობს ჩვენი ორი ხალხის ურთიერთგაგების გაუმჯობესებას. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაფართოება კულტურის დარგში, თქვა მან, დიდად სასარგებლოა ორივე მხარისათვის.

იანვრის დამლევს ექსპოზიცია „გადავა" მიჩიგანის შტატის მეორე დიდ ქალაქ ან-არბორში. იგი ეწვევა ჩიკაგოს, ხოლო შემდეგ ამერიკის დედაქალაქ ვაშინგტონს.

ᲙᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲓᲐᲥᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

□

ჰანოი, 8 იანვარი. (საკდესი). ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰანოის საელჩოს მტკიცე პროტესტი განუცხადა იმის გამო, რომ ჩინეთის შეიარაღებული ძალები კვლავ თავხედურად არღვევენ ვიეტნამის ტერიტორიულ მთლიანობას, ხოცავენ და იტაცებენ მოლაშქრეებს, მესაზღვრეებსა და მშვიდობიან მოქალაქეებს. ჩინეთის მმართველი წრეები, ნათქვამია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, აძლიერებენ ჯარების კონცენტრაციას, საზღვარზე თავს უყრიან დიდძალ სამხედრო ტექნიკას, მათ შორის მძიმე არტილერიას, ტანკებსა და ჯავშანტრანსპორტიორებს, სასაზღვრო რაიონებში ამწვავებენ დაძაბულობის ატმოსფეროს.

ვიეტნამელი ხალხი გულისწყრომას გამოთქვამს ჩინეთის ხელისუფალთა დანაშაულის გამო. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა მტკიცედ მოითხოვს ჩინეთისაგან დაუყოვნებლივ დაუბრუნოს გატაცებული ვიეტნამელი მოქალაქენი,, აუნაზღაუროს ზარალი დახოცილთა ოჯახებს, აგრეთვე შეწყვიტოს პროვოკაციები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ვიეტნამის უშიშროებას.

ᲩᲜᲝᲛᲙᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

ᲞᲝᲚ-ᲞᲝᲢ-ᲘᲔᲜᲒ ᲡᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲓᲐᲔᲛᲐᲮ

ჰანოი, 8 იანვარი. (საკდესი). ᲒᲚᲘᲡᲤᲐᲠᲘ ტილო ანგკორ ვატის ისტორიული ტაძრის ხუთი ოქროს კოშკის გამოსახულებით — კამბუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის დრომა —გუშინ აფრიალდა კამბუჩიის დედაქალაქის ჰნომპენის თავზე. როგორც კამბუჩიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, კამბუჩიის რევოლუციურმა შეიარაღებულმა ძალებმა იჯანყებულ მოსახლეობასთან ერთად, გაანადგურეს რა მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფება ქალაქის მისადგომებთან, გაათავისუფლეს ჰნომპენი. პოლ პოტ-იენგ სარის რეაქციული დიქტატორული რეჟიმი დაემხო, ნათქვამია ცნობაში. იმავე დღეს, იუწყება სააგენტო, გაათავისუფლეს სანავსადგური ქალაქი კამპონგსომი, აგრეთვე კამპოტის, ტაკეოს, პრეივენგის, კამპონგტიამის, კანდალის პროვინციები. კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად მოსახლეობასთან და პოლ პოტ-იენგ სარის პატრიოტულად განწყობილ ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან ურთიერთმოქმედებით, რომლებიც აჯანყდნენ რეაქციული, მილიტარისტული რეჟიმის წინააღმდეგ, წამოიწყეს შეტევითი ოპერაციები და გაათავისუფლეს ვრცელი რაიონები კამპონგთჰომის, პრეახვიხეის, სიემრეაპის, ბატამბანგის, კახკონგის, კამპონგსპის, კამპონგჩნანგის პროვინციებში, აგრეთვე ქალაქი კირირომი.

□

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ჰანოი, 8 იანვარი. (საკდესი). უკანასკნელი დღეების მანძილზე ჩინეთის მმართველ წრეებს გამალებით გადაჰყავთ დიდი სამხედრო ძალები და გადააქვთ ომის წარმოების საშუალებები ვიეტნამის საზღვრის უშუალო სიახლოვეს, აძლიერებენ პროვოკაციებს, ემუქრებიან ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას, ნათქვამია აქ გავრცელებულ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეიყვანოს ვიეტნამელი ხალხი და მსოფლიოს ხალხები, ჩინელი ბრონიონი მოამზადოს ახალი უფრო მუხანათური, მტრული აქციებისათვის ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ, ჩინეთის მხარე ყოველდღე აქვეყნებს მონაჭორებს, აყალბებს ჭეშმარიტ მდგომარეობას ვიეტნამ-ჩინეთის საზღვრის რაიონებში და კამპუჩიის ვითარებას, ცილისმწამებლურად სდებს ბრალს ვიეტნამს „კამპუჩიის წინააღმდეგ აგრესიაში", „პროვოკაციებსა და ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევებში". ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გადაჭრით გმობს ორი ქვეყნის სასაზღვრო რაიონებში ჩინეთის მმართველი წრეების პროვოკაციებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ომის მომზადებას, და მოითხოვს, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ შეუწყვიტოს მოქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და უშიშროებას.

□

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲕᲔᲜ ᲡᲐᲣᲚᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲐᲡ

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

რიუ-დე-ჟანეირო, 8 იანვარი. (საკდესი). მშრომელთა გაფიცვის უფლების შეზღუდვის წინააღმდეგ. პროტესტი გაგზავნეს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის სახელზე ბრაზილიის ნავთობისა და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ადვოკატებმა. იურისტთა წერილი, რომლებიც რიო-დე-ჟანეიროს, ბაიის, მინას-ჟერაისის, სანპაულუსა და პარანის შტატების მშრომელთა ინტერესების წარმომადგენლები არიან შეიცავს მოთხოვნებს განახორციელონ საყოველთაო ამნისტია, უზრუნველყონ პროფკავშირული თავისუფლებანი გაუქმონ ანტიმუშური კანონები, განახორციელონ საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაცია ქვეყანაში.

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ჰანოი, 8 იანვარი. (საკდესი). უკანასკნელი დღეების მანძილზე ჩინეთის მმართველ წრეებს გამალებით გადაჰყავთ დიდი სამხედრო ძალები და გადააქვთ ომის წარმოების საშუალებები ვიეტნამის საზღვრის უშუალო სიახლოვეს, აძლიერებენ პროვოკაციებს, ემუქრებიან ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას, ნათქვამია აქ გავრცელებულ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეიყვანოს ვიეტნამელი ხალხი და მსოფლიოს ხალხები, ჩინეთი ბრონიონი მოამზადოს ახალი უფრო მუხანათური, მტრული აქციებისათვის ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ, ჩინეთის მხარე ყოველდღე აქვეყნებს მონაჭორებს, აყალბებს ჭეშმარიტ მდგომარეობას ვიეტნამ-ჩინეთის საზღვრის რაიონებში და კამპუჩიის ვითარებას, ცილისმწამებლურად სდებს ბრალს ვიეტნამს „კამპუჩიის წინააღმდეგ აგრესიაში", „პროვოკაციებსა და ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევებში". ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გადაჭრით გმობს ორი ქვეყნის სასაზღვრო რაიონებში ჩინეთის მმართველი წრეების პროვოკაციებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ომის მომზადებას, და მოითხოვს, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ შეუწყვიტოს მოქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და უშიშროებას.

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. (საკდესი). ასოშეიტედ პრესის სააგენტო იმოწმებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალური პირების განცხადებას და იუწყება, რომ ჩინეთი ზრდის თავის ჯარებს ვიეტნამის საზღვარზე. როგორც სააგენტო აღნიშნავს, პეკინმა ამ რაიონში გადაიტანა დიდძალი სამხედრო ტექნიკა, მათ შორის ავიაცია და ტანკები. ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ვერაფერს იტყვიან, ეს საომარი მზადება „უბრალო ალის დემონსტრაციაა", თუ ვიეტნამზე ჩინეთის თავდასხმის რეალური საფრთხე, წერს ასოშეიტედ პრესი.

ცნობები იმის შესახებ, რომ ჩინეთმა დაიწყო ტაივანის სრუტის რაიონის პროვინციებიდან ქვეყნის სხვა რაიონებში, კერძოდ, ვიეტნამის საზღვარზე ჯარების მასირებული დისლოკაცია, ადასტურა ამერიკის შეერთებული შტატების კავშირგაბმულობის ჯგუფის მეთაურმა პეკინში ა. ვუდკოკმა გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმსისათვის" მიცემულ ინტერვიუში, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" იმოწმებს დაზვერვის მონაცემებს და აგრეთვე წერს, რომ „უკანასკნელი დღეების მანძილზე ჩინეთმა შეიარაღებული ძალების დიდი შენაერთები გაგზავნა ვიეტნამის საზღვრისაკენ".

„კრისჩენ საიენს მონიტორი" წერს, რომ ამჟამად იუნანისა და გუანსის პროვინციებში ჩინეთმა უკვე მოუყარა თავი ნახევარ მილიონ ჯარისკაცს.

„კარგად ინფორმირებული პოლიტიკური მეთვალყურენი და სამხედრო სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ „ჩინეთი ახალ აგრესიას ხელს უწყობს შეერთებულ შტატებთან ახალი ურთიერთობა", — წერს „კრისჩენ საიენს მინიტორი".

„ჩინეთის პოზიცია სულ უფრო მწვავდება მას შემდეგ, რაც გაზაფხულზე პეკინს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბზეჟინსკი", — აღნიშნავს „კრისჩენ საიენს მონიტორი". ბზეჟინსკის გამგზავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ პეკინმა გააჩაღა პროპაგანდისტული კამპანია ვიეტნამის წინააღმდეგ, ვიეტნამის ნაპირებისაკენ გაგზავნა თავისი გემები, კვლავ დაადასტურა პრეტენზიები სპრატლის კუნძულებზე.

„ახლა ურთიერთობის ნორმალიზაციასთან დაკავშირებით, — ხაზს უსვამს გაზეთი, — დგება მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი: ვაშინგტონთან ჩინეთის ახალი ურთიერთობა ხომ არ გაუფიქიმებს პეკინს სურვილს დაადგეს ომის გზას.

„პრაქტიკა გვიჩვენებს, — წერს „ბალტიმო სანი", — რომ პეკინის ხელმძღვანელები უკანასკნელი წლების მანძილზე, ჩვეულებრივ უგულებელყოფდნენ საღი აზრის, რაციონალურობისა და სიფრთხილის მოსაზრებებს". გაზეთი ასკვნის, რომ პეკინის ლიდერებისაგან „კვლავაც უნდა მოელოდნენ ირაციონალურ მოქმედებას" და რომ „პეკინის შეიარაღებული პროვოკაციები უფრთხილ ყოვლისა თავს დაატყდებათ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხებს".

ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲮᲛᲔᲑᲘ

ლონდონი, 6 იანვარი. (საკდესი). როგორც უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, პეკინში სხვა კედლის პლაკატებს შორის გამოჩნდა დაძიბაო, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩინელი ხალხი მხარს უჭერს საბჭოთა კავშირთან ხანგრძლივ მეგობრობას.

ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის უთანხმოებასა და იდეოლოგიურ დავას, წერენ მისი ავტორები, არავითარი ობიექტური საფუძველი არა აქვს. ჩინელი ხალხი მოითხოვს დაძაბულობის შენელებას. საბჭოთა კავშირი სოციალისტური ქვეყანაა. საბჭოთა ხალხი დიდი ხალხია. ჩინელი ხალხი მოითხოვს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან და განახორციელოს ღონისძიებანი მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაჭარბებისათვის და კაცობრიობის პროგრესისათვის.

დაძიბაო მოითხოვს აგრეთვე სიტყვის თავისუფლებას, ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას, ეროვნული უმცირესობისათვის სრული ავტონომიის მონიჭებას და იმ სისტემის გაუქმებას, რომლის დროს მშრომელები მოვალენი არიან იმუშაონ და იცხოვრონ ერთ ადგილს მთელი სიცოცხლის მანძილზე.

დაძიბაოს ავტორები მოითხოვენ მაკზოლეუმიდან მაო ძედუნის ნეშტის გამოტანას.

8 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. [illegible] წელი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი [illegible] ტექნიკური [illegible] ინფორმაციების სისტემის გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში. სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ხანგრძლივი ომის განმავლობაში დანგრეული და დაზიანებული მაგისტრალების აღდგენა, გაჩაყვადთ გზატკეცილები ახალ ეკონომიკურ და დაშორებულ მთიან რაიონებში. მარტო სამხრეთ პროვინციებში მშენებლებმა გაიყვანეს გზები, რომელთა საერთო სიგრძე 1125 კილომეტრს შეადგენს, ააგეს ათობით ხიდი.

ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲘᲜᲤᲚᲐᲪᲘᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ინფლაციის შეუჩერებელი ზრდა კვლავ ძირს უთხრის კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ცნობით, ინფლაციის წლიური დონე ამ ორგანიზაციაში შემავალ დასავლეთის 14 განვითარებულ ქვეყანაში გასული წლის შემოდგომაზე შეადგენდა 7 პროცენტს 1978 წლის ბაზაზეულის 6,5 და ზაფხულის 6,9 პროცენტთან შედარებით.

ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ ᲨᲐᲡᲔᲑᲘ

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ. ურუგვაიში გამოაცხადეს პირველი მოთხოვნილების საქონლის, მათ შორის კვების პროდუქტების ფასების ახალი მომატება. კერძოდ, ფქვილის

ᲣᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ნაწარმისა და პურ-ფუნთუშეულის ღირებულება გაიზარდა 16-დან 21 პროცენტამდე.

გარდა ამისა, გამოაცხადეს წლის დამდეგიდან ურუგვაის პესოს „მინიდევალვაცია". სულ გასული წლის მანძილზე თითქმის 30 ამგვარი „მინიდევალვაციის" შედეგად ურუგვაის ფულადი ერთეულის ღირებულება 25 პროცენტით დაეცა.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘ

ᲛᲝᲜᲢᲔᲠᲔᲚᲘ. როგორც ით

ნენბურგის გაზეთი „სტარიო" იუწყება, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო ბიუჯეტი 1978-79 წლებში დამატებითი ასიგნებების გათვალისწინებით შეადგენს რეკორდულ თანხას — 2,28 მილიარდ რანდს, რაც შეესაბამება ისრაელის სამხედრო ხარჯებს. 1960 წელს, აღნიშნავს გაზეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ ამ მიზნებისათვის 44 მილიონი რანდი დახარჯა. ამ უზარმაზარ სახსრებს პრეტორია ხარჯავს უდიდესი რეპრესიული აპარატის შესანახად.

ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ინგლისელი ამომრჩევლები უპირატესობას მიანიჭებენ მმართველ ლეიბორისტულ პარტიას, თუ პარლამენტის არჩევნები ახლა მოეწყობა. ამას მოწმობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც წელს პირველად მოაწყო გაზეთმა „დეილი მეილმა". გამოკითხულთა 47,9 პროცენტმა მხარი დაუჭირა ლეიბორისტულ პარტიას, 44,7 პროცენტმა, ოპოზიციაში მყოფ კონსერვატორებს.

საკდესი

ᲞᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ





ᲪᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ სახლების პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა ბრაზილიაში. მარტო რიო-დე-ჟანეიროში, — რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო ცენტრში, ღატაკთა უბნებში 600 ათასამდე კაცი ცხოვრობს — ქალაქის მოსახლეობის თითქმის 14,3 პროცენტი. ერთმანეთზე მიყრილი ჯოხმახები საცოდავად მიყუჟულან მთის კალთებთან. კომპანიები საცხოვრებელი სახლების მშენებლობას მდიდრებისათვის ითვალისწინებენ, ხოლო მშრომელი მასები ცხოვრობენ ჯოხებში, რომლებსაც არა აქვთ ელექტროგანათება, წყალგაყვანილობა. ამ დროს კი კეთილმოწყობილ სახლებში უამრავი ცარიელი ბინაა — ღარიბებს ხელი არ მიუწვდებათ ასეთ სახლებზე.

□ -

სურათზე: რიო-დე-ჟანეიროს კონტრასტები.

ᲙᲐᲛᲛᲠᲐ ᲞᲠᲔᲡ-ᲩᲢᲐ-ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ



ᲓᲐᲜᲘᲐᲨᲘ, სადაც სულ უფრო ძლიერდება ეკონომიკური კრიზისი, უმუშევართა არმიის რიცხვი თითქმის 200 ათას კაცს აღწევს. სურათზე: ერთ-ერთი შრომის ბირჟა.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲒᲕᲐᲓᲔᲚᲣᲞᲘᲡ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲖᲔ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲡᲔᲜ-ᲤᲠᲐᲜᲡᲣᲐ. (გვადელუპა), 8 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). კარიბის ზღვის კუნძულ გვადელუპაზე დამთავრდა დასავლეთ ევროპის ოთხი წამყვანი ქვეყნის ხელმძღვანელთა ორი დღის არაოფიციალური შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კარტერი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. კალაგენი, საფრანგეთის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დესტენი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ჰ. შმიდტი. არავითარი კომუნიკე არ გამოუქვეყნებიათ.

შეხვედრის მონაწილეები ჟურნალისტების წინაშე გამოვიდნენ მოკლე განცხადებებით, რომლებშიც აღნიშნეთ, რომ მათ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთობას და საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. მათ აღნიშნეს „პროგრესი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა — 2-ის შესახებ მოლაპარაკებაში და ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა უსწრაფესად დამთავრდეს ეს მოლაპარაკება. „ჩვენ იმედი გამოვთქვით, რომ რაც შეიძლება მალე დაიდება შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ", თქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა. „იმედი მაქვს, რომ მალე დამთავრდება ამ შეთანხმების შემუშავება, აგრეთვე მალე მოხდება მისი შემდგომი რატიფიკაცია", — ხაზი გაუსვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა. ეხება რა ამ გამონათქვამებს, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" წერს: „დასავლეთ ევროპის ლიდერებს არავითარი ეჭვი არ დაუტოვებიათ, რომ ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობას".

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ შეხვედრის მონაწილეებმა „საკმაოდ ბევრი დრო დაუთმეს ჩინეთთან ურთიერთობებს", ამასთან ხაზი გაუსვეს: „ჩვენ არ ვაუმჯობესებთ ამ ურთიერთობას რომელიმე სხვა ქვეყნის ხარჯზე". ამავე დროს, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჯ. კალაგენმა გამოაცხადა, რომ ლონდონი მზად არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიჰყიდოს ვერტიკალურად ამფრენი „ჰარიერის" ტიპის ავიაგამანადგურებლები, თუ ეს იქნება უფრო ფართო საკაჭრო გარიგების ნაწილი. ვაშინგტონს, რომელიც სიტყვით მხარს უჭერს იარაღით ვაჭრობის ზრდის შეწყვეტას „არაფერი უთქვამს ამ გარიგების წინააღმდეგ" წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი". ამავე დროს იუწყებიან, რომ კალაგენის განცხადებას მეტად თავშეკავებულად შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელსაც მიაჩნია რომ ასეთ გარიგებას შეიძლება მოჰყვეს დაძაბულობის გაძლიერება. „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, კანცლერმა ჰ. შმიდტმა გააფრთხილა დამსწრენი, „მეტისმეტად ნუ შეეტოპავთ პეკინთან ურთიერთობის განვითარებაშიო.

შეხვედრაზე ვრცლად განიხილეს მდგომარეობა „ცხელ წერტილებში", უწინარეს ყოვლისა ირანში. „ირანი, — აღნიშნავს ფრანს პრესის სააგენტო, — ფრიად დიდი ყურადღების ობიექტი გახდა. პერსპექტივები, რომლებიც ისახება ბახტიარის მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ, და შაჰის როლი კამათის ცენტრში იყო". მეთვალყურენი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ამერიკის გამოფენის მოწყობისათვის, რომელიც ამერიკელ ხალხს ხელს შეუწყობს გაიფართოოს ცოდნა საბჭოთა ხელოვნების შესახებ.

საბჭოთა გამოფენა, აღნიშნა ჯ. იშიკავამ, თვალსაჩინოდ ადასტურებს იმ უპირატესობებს, რომლებიც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრული ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარების შედეგია. იგი, უთუოდ, ხელს შეუწყობს ჩვენი ორი ხალხის ურთიერთგაგების გაუმჯობესებას. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაფართოება კულტურის დარგში, თქვა მან, დიდად სასარგებლოა ორივე მხარისათვის.

იანვრის დამლევს ექსპოზიცია „გადავა" მიჩიგანის შტატის მეორე დიდ ქალაქ ან-არბორში. იგი ეწვევა ჩიკაგოს, ხოლო შემდეგ ამერიკის დედაქალაქ ვაშინგტონს.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ

ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ ᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲪᲘᲚᲝᲜᲘᲡ ᲛᲡᲯᲕᲠᲚᲗ

ᲐᲜᲢᲐᲜᲐᲜᲐᲠᲘᲕᲣ, 8 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ევსეევი იუწყება:

საბჭოთა მსახიობები მადაგასკარის დედაქალაქში გამართულ ოთხ დამატებით კონცერტს, რომელთა შემოსავალს გადასცემენ ციკლონ „ანეელასგან" დაზარალებულთა დახმარების ფონდს.

საქართველოს ანსამბლ „რეროს" საფუძველზე შექმნილი სხვადასხვა ჟანრის საესტრადო მსახიობთა დასი მადაგასკარში იმყოფება დეკემბრის შუა რიცხვებიდან. იგი მონაწილეობდა მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების 3 წლისთავის გამო გამართულ დღესასწაულობაში და ამ დროს გაიმართა 17 კონცერტი რესპუბლიკის ექვსივე პროვინციის დედაქალაქებში. ყველა კონცერტის დროს დარბაზები ხალხით იყო გაჭედილი. კონცერტებს 36 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ადგილობრივი პრესა, რადიო, ტელევიზია ყოველდღე აქვეყნებს რეცენზიებს, ფოტოსურათებს საბჭოთა ესტრადის ოსტატთა გამოსვლების შესახებ, მაღალ შეფასებას აძლევს მათ ხელოვნებას.

„მადაგასკარის მცხოვრებლებთან შეხვედრები, რომლებსაც უყვართ და ესმით მუსიკა, ცეკვა, სიმღერა, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. სასარგებლო იყო საბჭოთა მსახიობების კონტაქტები მალაგასიის კოლეგებთან— მომღერლებთან კომპოზიტორებთან. ჩვენ მათ ვუტოვებთ ჩვენს სიმღერებს და თან მოგვაქვს მალაგასიური სიმღერები", — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს დასის ხელმძღვანელმა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა შამილ იაგუდინმა.

ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲞᲔᲠᲣᲨᲘ

ლიმა, 8 იანვარი. (საკდესის). პერუში კვლავ დაძაბული ვითარებაა. რამდენიმე დღეა ქვეყანა საგანგებო მდგომარეობის პირობებში ცხოვრობს. დაპატიმრებულია ათობით პროფკავშირული ხელმძღვანელი, აკრძალულია მიტინგები და კრებები, დახურულია მთელი რიგი გაზეთები. 30 დღით გაუქმებულია აგრეთვე სხვა კონსტიტუციური გარანტიები, კერძოდ შეზღუდულია მიმოსვლა ქვეყანაში, დროებით დაკარგა ძალა დებულებამ ბინის ხელშეუხებლობის შესახებ. ეს ღონისძიებები მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ 9 იანვრისათვის პერუს მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით დანიშნულია სამი დღის საყოველთაო გაფიცვა მეწარმეთა თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად".

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ



ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲐ ᲔᲡ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ?

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲮᲖᲘᲠᲗᲓᲐ ᲠᲐᲘᲜᲖᲔ „ᲧᲐᲕᲘᲡᲤᲔᲠᲘ" ᲢᲐᲚᲦᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ, გაზეთის კიოსკთან რომ ჩავივლიდი ხოლმე ბონის ვაგზლის შენობის გვერდით, თვალში მეცემოდა ნაირფერადიანი წიგნები და ბროშურები, საიდანაც იმზირებოდნენ ჰიტლერელ მხედართუფროსთა თავდაჯერებული სახეები. აქ თვალსაჩინო ადგილას იყო გამოფენილი გუდერიანისა და რუდელის, კესელრინგისა და რუდელის, მანშტეინისა და სხვა ფაშისტი არამზადების მემუარები. აქვე შეგეძლოთ შეგეძინათ ჟურნალი „მესამე რაიხი", ფიროფტები ჰიტლერის, ჰებელსის, გერინგისა და მათ მსგავსთა სიტყვების ჩანაწერებით. ეს იყო რამდენიმე წლის წინათ. შეიცვალა კიბ მდგომარეობა მას შემდეგ? სრულიადაც არა.

უფრო მეტიც, ამ ბოლო წლებში რაინზე დაიწყეს ლაპარაკი „ყავისფერი ბუმის", „ჰიტლერული ტალღის", ძველი და ახალი ნაცისტების აქტივიზაციის თაობაზე. არის თუ არა ამის საფუძველი? უთუოდ არის. მოგაგონებთ ზოგიერთ ფაქტს.

გასული წლის ოქტომბერში სწორედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. ბაუმმა აღიარა, რომ ნეონაცისტთა ჯგუფების რიცხვი ქვეყანაში ერთი წლის მანძილზე ერთიოროად გაიზარდა და 83-ს მიაღწია. ბონის იუსტიციის მინისტრმა გ. ფოგელმა კი აღნიშნა, რომ იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა რიცხვი, რომლებიც ჯერ კიდევ ჯეროვნად აკ

ცეკვის სიყვარული

თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში

ამ სასწავლებლის კედლებში აღიზარდნენ ბალეტის ცნობილი ოსტატები ლ. მითაიშვილი, ე. ჭაბუკიანი, ვ. გუნაშვილი, რ. მაღალაშვილი, ბ. მონავარდისაშვილი, ი. ჯანდიერი. სწორედ მათ ბაძავენ საცეკვაო ხელოვნებაზე მოტრფიალე ქალიშვილები და ჭაბუკები.

თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგები გულუბვად უზიარებენ გამოცდილებას თავიანთ აღსაზრდელებს. სასწავლებლის დირექტორის ბ. ბარამიძის, მხატვრული ხელმძღვანელის, კონსულტანტის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ალექსიძის, ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ვ. ჭაბუკიანის, თ. ვიხოდცევას და სხვების ამ ზრუნვას ახალ-ახალი წარმატებებით უპასუხებენ უფროსკურსელი მოსწავლეები.

სურათებზე: მეცადინეობას ატარებს სასწავლებლის მხატვრული ხელმძღვანელი, კონსულტანტი, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ალექსიძე; თბილისელი გრაციები (მარჯვნივ); შესვენებისას (ზემოთ მარჯვნივ).

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„კომუნისტის“ კალენდარი

მეცნიერი, აღმგზრდელი

პროფესორ ილია გვერდწითლის დაბადების 70-ე წლისთავის გამო

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებრიობა დიდი პატივისცემით აღნიშნავენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ილია მიხეილის ძე გვერდწითლის დაბადების 70-ე წლისთავს.

ილია გვერდწითელი დაიბადა 1908 წლის 10 თებერვალს სოფელ ხცისში (ხაშურის რაიონში) იმ დროისათვის საკმაოდ განათლებულ ოჯახში. სკოლის ასაკამდე იგი სოფელში იზრდებოდა. 1926 წელს დაამთავრა გორის კაჟთა ქართული გიმნაზია და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახმენბისმეტყველო ფაკულტეტზე, მაგრამ ხელმოკლეობის გამო იძულებული გახდა სწავლისთვის თავი დაენებებინა და გორში მუშაობა დაეწყო. მხოლოდ სამი წლის შემდეგ განაგრძო მან სწავლა.

სტუდენტობის წლებში ი. გვერდწითელმა თავი გამოიჩინა კარგი სწავლით, სანიმუშო ყოფაქცევითა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობით, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მის მასწავლებლებს და, განსაკუთრებით ორგანული ქიმიის კათედრის გამგეს პროფესორ ნინო ციცინაშვილს, რომელმაც იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს (1933 წელს) სამუშაოდ აიყვანა თავის კათედრაზე. ი. გვერდწითელი 1934 წლიდან უკვე ქიმიის მეცნიერებათა 55 კანდიდატი და დოქტორი, ხოლო უშუალოდ ი. გვერდწითლის ხელმძღვანელობით — 32.

პროფესორი ილია გვერდწითელი გამოირჩეოდა პატიოსნებითა და უანგარობით, დიდი შრომისმოყვარეობით, მეცნიერული კვლევის დიდებული ალღოთი, პრინციპულობით, მეცნიერული კადრების მომზადებისა და შერჩევის სამაგალითო თვისებებით.

1953 წელს ი. გვერდწითელი დანიშნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად სასწავლო მუშაობის დარგში. აქ ნათლად გამომჟღავნდა ი. გვერდწითლის ორგანიზატორული ნიჭი. მისი ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში დაინერგა სწავლისა და აღზრდის ახალი ფორმები. ი. გვერდწითელი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორს.

პროფესორი ი. გვერდწითელი 240 ნაშრომის, სამი მონოგრაფიისა და მრავალი თეორიული და მითოლოგიური ხასიათის ნაშრომების ავტორი, 7 სახელმძღვანელოს და დამხმარე სახელმძღვანელოს რედაქტორია. მას მიღებული აქვს 18 საავტორო უფლება. პროფესორ ი. გვერდწითლის სამეცნიერო შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს ისეთი თეორიული გამოკვლევა, როგორიც არის რეაქციის სიჩქარის შესწავლა და მექანიზმის დადგენა. მან შეისწავლა ღრმად უნაჯერო ნაერთები და მათი გარდაქმნები. დიდია ი. გვერდწითლის წვლილი აცეტილენის ქიმიის და ელემენტორგანული ნაერთების ქიმიის შესწავლის საქმეში. მან დიდი ყურადღება მიაქცია მრეწველობის ნარჩენების გამოყენებას პლასტმასების მისაღებად.

მართალია, ი. გვერდწითელი აცეტილენის ქიმიისა და უნაჯერო ელემენტორგანული ნაერთების ქიმიის ფუძემდებელი არ არის, მაგრამ ამ დარგში მომუშავე მეცნიერები გვერდს ვერ უვლიან მის ფუნდამენტურ ნაშრომებს. ამის ნათელი დასტურია ის, რომ ი. გვერდწითლის ნაშრომებს ხშირად თხოულობდნენ ამერიკიდან, ინგლისიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ი. გვერდწითლის ნაშრომებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. მის რამდენიმე ნაშუშევარს უნივერსიტეტის პრემია და აგრეთვე მენდელეევის სახელობის პრემია მიენიჭა.

1967 წელს პროფესორი ი. გვერდწითელი ქიმიის დარგში მნიშვნელოვანი ნაშრომების შექმნისათვის და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ი. გვერდწითელი 1940 წლიდან სკკპ წევრი იყო.

პროფესორი ი. გვერდწითელი ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მუშაობას. იგი რამდენჯერმე იყო არჩეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის წევრად. არჩეული იყო თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს დეპუტატად. პროფ. ი. გვერდწითელი იყო უნივერსიტეტის შრომების სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბის“ და „მაცნეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. 1969 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ქიმიის სწავლების მეთოდიკური საბჭოს თავმჯდომარე და სხვ.

გ. გვერდწითლის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს საბჭოთა მოქალაქე, პატრიოტი, მეცნიერი და აღმზრდელი.

შ. მიქაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი;
დ. წაქაძე,
უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრის დოცენტი

წიგნი და მკითხველი

რომანი ჩვენს თანამედროვეზე

ნოდარ დუმბაძის
„მარადისობის კანონის“
გამო

ნოდარ დუმბაძის მრავალთასიან „მოყვარულთა საზოგადოებას“ ამჟამად ხელი უპყრია ავტორის ახალი რომანი — „მარადისობის კანონი“, ჯვარასხოვანი გარეკანით დაკაბადონებული და სიკეთისათვის ჯვარცმული ადამიანების თავგადასავლით დატვირთული. და მკითხველი, რომელმაც ეს წიგნიც სულმოუთქმელად წაიკითხა, ერთხელ კიდევ რწმუნდება, რომ „მზიანი ღამისა“. და „თეთრი ბაირაღების“ გუშინდელი შემოქმედი დღესაც აქტიურ ძალად დგას თანადროული ქართული მწერლობის შუაგულში.

„მარადისობის კანონიც“ იმ ცხოველმყოფელი მადლითა და სიკეთით არის ნაშენი, რითაც ნოდარ დუმბაძის მანამდელი რომანები და მოთხრობები. ორმოცდაათამდე „დიდი“ და „მცირე“ გმირი ინაკვთება რვაათას ხუთასი ქართული სტრიქონისაგან. ამათგან „მთავარი“ და „წამყვანი“ მაინც არის ბაჩანა რამიშვილი, სოსლიერ-ხორციელი ტყუპისცალი ეკვე ფარითად გახმაურებული ზურიკელა ვაშალომიძისა, სოსოია მამალაძისა, თემო ბარამძისა, ავთანდილ ჯაყელისა და ზაზა ნაკაშიძისა.

ბაჩანა რამიშვილმაც უმძიმესი ყრმობა და სიჭაბუკე გამოიარა — ბოროტი „ბუფეტრობით“ თავსდატეხილი ობლობა, ავი ტანჯირანობა, მერე ომი და ხუთწლოვანი ზარი ბლოვისა, წარდგენა „მსოფლიო ხორციისა“ და წარწყმედა „მსოფლიო სულისა“. ისევ „მსოფლიო მოგლეჯებმა“ უნდა გაეძევოს ბავშვიდან ბავშვურ საგანთა სამყარო. ისევ დგას ჩვენს წინ ჭაღარა ბავშვი, სიხარულწარმეული და უსაზღვრო სევდით თვალებამოცმული. მაგრამ მის სულში მაინც ჯიუტად ჩაკირულა რწმენა ხვალინდელი დღის განწმენდისა და გაუკეთესებისა. იცის ობოლმა და ჭლექიანმა ყმაწვილმა, არ გაწბილდება მისი სამომავლო იმედი, არ გაწბილდება, რადგან მის გვერდით დგას მარად გაუწბილებელი ადამიანიშვილი — ქართველი გლეხი (გლახუნა ქერქაძე), ქართული სიკეთის, ვაჟკაცობის, სიმხნევისა და სინდისიერების განსახიერება. „არა, ბიძია, არა, შენ შემოგეკვლოს გლახუნას თავი, სიკვდილს გაუწბილებიხარ, უბეში გაგზრდი, ბიძია, თხის რძით გაგზრდი, მახარე, ჩიტის რძეს არ მოგაკლებ, ნიავს არ გაგაკარებ, სუ, ბიძია, სუ, ისე გაგხდი ორ თვეში, სამწლიან ბუღას კისერს უგრიხავდე, გმისა, რომელთაც აღარ გააჩნიათ სინდისი, — ვითარცა „შინაგანი ინკვიზიტორი“ (გერცენი), აღარ გააჩნიათ სირცხვილი, — ვითარცა „შიგნით მიმართული მრისხანება“ (მარქსი). ამათ სირცხვილისა და სინდისის სანაცვლოდ უზღვავი ქონება მოიგვიანგეს და სათაყვანო კერპად დაისვეს „ხმიო ოქროისა“ (ბიბლიური მაგალითით) და „ჰალსტუხი ოქროისა“ (თანამედროვე მაგალითით). ეს ოქრო-ვერცხლით გატენილი „ცოცხალი კუბოები“ ისე დაადიჯდენ, თითქოს მხოლოდ ისინი იყვნენ „მარილი დედამიწისაო“ და ვერა გრძნობენ, რომ „კუჭს ზემოთ ვერ ამაღლებულან“ (აკაკი წერეთლის განმარტებით). ერთს კი ატყობენ ობმოკიდებული ასიფნაციებით აყვავებული გვამნი: მათ გვერდით ჭუმარიტი ადამიანური სამყარო სჩქეფს მძლავრი მაჯით, „სხეულზე უფრო მძიმე სულით“, ჰუმანიზმით გამთბარი გულით და საკაცობრიო ქვეელმოქმედებისთვის აღძრული ფიქრებით. ატყობენ, ჰხედავენ და კანიდან ძვრებიან, იქნებ როგორმე ეს „ჰუმანოიდების სამყაროც“ თავის ამაზრზენ წუმპეში ჩაითრიონ, სახელი გაუტეხონ, დაკნინონ და დასასაბიჩროს.

„მარადისობის კანონი“ კომპოზიციურად მკვრივი მთლიანობით ასხმული ლიტერატურული სხეულია, თუმცაღა მასში „ორგანულად“ ჩასმული“ პასაჟთა უმეტესობა ცალკე დამოუკიდებელი ნოველების სიცოცხლითაც ცხოვრობენ. ყოველ მათგანს აქვს თავისი ქსოვილი — ზნეობრივი, საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი, ყოფითი, ფილოსოფიური, თეოსოფიური, სიყვარული ზოგად კაცთაშორისი და სიყვარული მარად ქალისა და ვაჟისა. ყველა ამ „ცალკეულ სხეულში“ ეღერს ნოდარ დუმბაძის „სტილი“ — მისი იუმორი და ცრემლი, ჰომერული ხარხარი და მწუხარებით აღსავსე რექვიემი, ნაზი ლირიკა და ვაქკაცური ჭეროვკა.

საგანგებო მინიშნების ღირსია კიდევ ერთი „სტილი“ ნოდარ დუმბაძისა. ეს არის „მზე და ადამიანი“. თითქმის ყველა მის ნაწარმოებში „მთავარი გმირი“, ადამიანის გვერდით, უფრო ზუსტად — ადამიანთან „ჩაწოლილდებით“, არის მზე, გნებავთ — „გაადამიანებული მზე“. „გაადამიანებული“ და „გაშინაურებული“ მზე ჩანს და იგრძნობა ყველგან —ნოდარ დუმბაძის შემოქმედებითი წრეწირის ყოველ კუთხეში, მზე უზის კარის ზღურბლზე, კერიის თავზე, სამუშაო მაგიდაზე, თითქოს უბეშიც მზის ფიანკა უფეთქავს, კალმის წვეტზედაც მზე უცინის. ასე მეჩვენება, ნოდარ დუმბაძის მთელს შემოქმედებითს ციკლს უნდა ერქვას „მზე ზინა“. ახალ რომანში კიდევ ერთი „უცნაური მზე“ დაგვანახვა მწერალმა. ეს არის „მომაკვდავი მზე“. აქ წარმოვიდგება მხატვრული სიმბოლიკა თანამედროვე მსოფლიოს შინაგანი ტკივილებისა, რასაც, „მსოფლიო გულრეოლობის“ შემთხვევაში, მზის სიკვდილი, ანუ მსოფლიოს კატასტროფა შეიძლება მოჰყვეს. ადამიანის დაკვიწყნაათ, რომ სიცოცხლის მარადულ წყაროს, მზეს, სიკვდილის „უნარიც“ ჰქონია. არც ის ახსოვთ ადამიანებს, რა აცოცხლებს მზეს, რით უდგია სული ამ საოცარ მნათობს. და აი, თვითონ ეუნება მომაკვდავი მზე „ბარტყივით პირდაფჩენილ“ კაცობრობას; მე დედამიწა მტკივაო, მე აქამდე მხოლოდ ადამიანებითა და სიყვარულით დასახლებული დედამიწით ვცხოვრობდიო, ახლა კი, როცა ჩემს, ერთადერთ მაცოცხლებელზე — დედამიწაზე კაცთაშორისი სიყვარული ინარტება და სიძულვილი ბატონდება, ეს მოსაწყვეს სწორედ ჩემს სიკვდილს! ამიტომ თუ თქვენ გსურთ ჩემი გაცოცხლება და გაგაკურნება, „გაცოცხლეთ სიყვარული დედამიწაზე და მე აღვსდგები კვლავ მკვდრეთით... მე გევედრებით თქვენ, ადამიანებს, მე — მზე. დამიბრუნეთ სიცოცხელე ჩემი, დედამიწაზე სიყვარულად აღმოცენებული... დამიბრუნეთ სიყვარული და მე კვლავ დგებრუნდებით თქვენ“...

კარგია ნაწარმოების დასკვნითი შეჯამება — ის, რასაც ავტორმა დაარქვა საკუთრივ „მარადისობის კანონი“, ხოლო „ამ კანონის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ... ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება ძნელად რომ შეუძლია, ამიტომ ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსრულებლად, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ, არ დავკვიდდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“.

რომანი სრულდება, მაგრამ ისევ გიწვევენ და ვეზიდებიან ქართული მზით აცრილი გმირები ნოდარ დუმბაძის კიდევ ერთი „მზიური წიგნიდან“. ჭეშმარიტად — „მარადისობის კანონი“ გამორჩეულ ადგილს დაიჭერს ქართული კაცის მაღალკულტურულ საწიგნობელში,

ლევან სანიკიძე.

ᲐᲨᲔᲜᲓᲐ, ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲚᲘᲜᲬᲚᲘᲡ სამკერვალო ფაბრიკის კიდევ ორმა ნაწარმმა — ბამბაზიის ხალათებმა — დაიმსახურა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი: ახლა საწარმო თექვსმეტი სახეობის პრიდუქციიდან რვა პროდუქციას „საპატიო ხუთკუთხედით უშვებს.

მᲬᲧᲝᲛᲑᲠᲨᲘ ჩადგა ახალი კომფორტული ხუთსართულიანი სასტუმრო ცხინვალში. იგი აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობით. სტუმართა განკარგულებაშია რესტორანი, კაფე, საყოფაცხოვრებო სამსახურები.

ᲒᲐᲡᲣᲚ წელს მილიონი მანეთით გაადიდეს საქინელბრუნვა ტყიბულის სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიებმა, საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა. წლის მანძილზე ქალაქში სასურსათო მაღაზიებთან გაიხსნა ხუთი ფარდული, სამი სასადილო, გაფართოვდა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკერი სახელოსნოების ქსელი. (საქინფორმი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲐᲦᲛᲐᲠᲓᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲐ!

ᲛᲖᲘᲚᲘ ᲯᲐᲠᲨᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲡ

თბილისი. ციალა და სამსონ ბერეშაშვილებს

შრომა, საქმის სიყვარული, დისციპლინა, პატრიოტიზმი ყოველი საბჭოთა ადამიანის უპირველესი მოვალეობაა. სწორედ ასეთი თვისებების ახალგაზრდები არიან ჩვენს სამხედრო ნაწილში, სადაც თქვენი შვილი მეგულდიც მსახურობს. სიამოვნებით გვინდა გაცნობოთ, რომ იგი ნაწილის ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლი, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი და დავალების უზადო შემსრულებელია.

მ. ოგუზოვი — სამხედრო ნაწილის მეთაური.

საგარეჯო. ნინო და ნიკოლოზ ხეკერლაშვილებს

ᲨᲕᲘᲚᲘᲡ წარმატება მშობლების სნუკვარი ოცნებაა. რაოდენ სასიამოვნოა, როდესაც ეს ოცნება რეალობად იქცევა. ძალზე მოხარული ვართ, რომ ასეთი ახალგაზრდობის რიგებს თქვენი შვილი გივიც ამშვენებს. იგი კეთილსინდისიერად იხდის სავალდებულო სამხედრო სამსახურს, დიდ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს ამხანაგებში. დისციპლინამ, პასუხისმგებლობამ და შრომამ მას წარმატება მოუტანა.

გ. პეტროვი — ნაწილის მეთაური.

დიდი ლილო. დოდო და ავთანდილ გულბანებს

საბჭოთა არმიის რიგებში სავალდებულო სამსახური ყოველი ახალგაზრდის პატრიოტული მოვალეობაა. აქ მებრძოლებს თავი შეუძლიათ გამოიჩინონ არა მარტო სამხედრო თუ პოლიტიკური მომზადებით, არამედ ნაწილის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობითაც. ამ მხრივ თქვენი შვილი რაული მისაბაძ მაგალითს იძლევა. იგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია.

მადლობა თქვენ, სასახელო ვაუკაცის აღზრდისათვის.

ვ. ბარნაპოვსკი — ნაწილის მეთაური.

ᲒᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘ

მრავალი ახალი საინტერესო ექსპონატით შეივსო საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფონდები. გეოლოგიის განყოფილების ექსპედიციების შედეგად მუზეუმში შემოვიდა ხერხემლიანთა და უხერხემლოთა ფაუნის, აგრეთვე დიდძალი პალეონტოლოგიური და პეტროგრაფული მასალები.

ბოტანიკის განყოფილებამ აჭარასა და თუშეთში მოიძია მცენარეთა სამი ათასამდე ნიმუში. შიდა ქართლში აღმოჩნდა ბევრი საინტერესო სახეობა, მათ შორისაა „ნიუკა“, „კაბაჭრელა“ და სხვ. მცენარეთა საინტერესო ახალი სახეობა აღმოჩნდა ქვეძო სვანეთში.

არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად მუზეუმის ფონდებს უხვად შეემატა კერამიკული მასალა, ძვლისა და ირმის რქის იარაღი, ქალის ქანდაკებები, ბრინჯაოს ნივთები, ოქროს დანები, შუბის ბუნიკები, ვერძის თავებით დამშვენებული თიხის ჭურჭელი.

გამდიდრდა ნუმიზმატიკის განყოფილება. მის ფონდებს შეემატა 320 თურქული მონეტა, რომლებიც სოფელ ჩოჩხათში (ლანჩხუთის რაიონი) აღმოჩნდა.

სპელეოლოგიის ლაბორატორიამ გადაიღო ვანის ქვაბის ეკლესიის მხატვრობის ასლები, საბერვების ფრესკის პირები (მე-9-10 სს).

ახალი ისტორიის განყოფილების ფონდებს შეემატა თეიმურაზ მეორის ნივთები — ყავის ფინჯანი და ოქროს ჯვარი ასტრახანიდან, ხარკოვის საარქიეო მასალების (საფაბრიკო ინსპექციის ფონდი) ფოტოპირები, რომლებზეც აღბეჭდილია მასალები ამიერკავკასიის მრეწველობის შესახებ.

გარდა ამისა, მუზეუმმა შეიძინა სპარსული ხანჯალი, ოქროს ზარნიშით შემკული უნგრული ხმალი, XIX საუკუნის ინდური სუფრა და სხვ.

მუზეუმის დირექცია მადლობას უხდის ბუკისციხელ (ჩოხატაურის რაიონი) მ. კოროშინაძეს, რომელმაც მუზეუმს შემოსწირა გურული ჩოხა, თბილისელებს გ. დანდურაშვილსა და თ. დვალს. მათ ასევე უსასყიდლოდ გადასცეს მუზეუმს როდინი და ხუსხახუცურით დაქარგული საინტერესო სეფისკვერის ბეჭედი.

ს. ნუცუბიძე.

კალათბურთი

ᲔᲠᲗᲛᲐ ᲥᲣᲚᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ

კალათბურთელ ვაჟთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატში ახლა ორი ლიდერია. ესენი გახლავთ ვილნიუსის „სტატბა“ და ცსკა. მერვე ტურში ცსკამ დაამარცხა მინსკის რტი (125:101), ხოლო „სტატბამ“ — კიევის „სტროიტელი“ (84:79).

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ყალგირისი“ (კაუნასი)-„სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი) — 107:72, ვეფი (რიგა)-„სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 106:105.

თბილისის „დინამო“ ხვდებოდა კიევის სკას. პირველი ტაიმი ქართველმა კალათბურთელებმა, კარგი ტემპისა და ზუსტი ტყორცნების შედეგად, 14-ქულიანი სხვაობით მოიგეს (52:38), მეორე ტაიმში კი კიეველები გააქტიურდნენ. საბოლოოდ გამარჯვება მაინც თბილისის „დინამოს“ დარჩა — 88:87.

გუშინ შეჯიბრების მონაწილეები ისევენებდნენ, დღეს კი მორიგი მეცხრე ტურის შეხვედრებია. ამ ტურიდან ასპარეზობაში ჩაებმება მოსკოვის „დინამოც“, რომელმაც ვარშავის საერთაშორისო ტურნირში ბოლო მატჩი დასთმო პოლონეთის ნაკრებთან (89:95) და მეორე ადგილს დასჯერდა.

სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

	ი.	მ.	წ.	ქ.
„სტატბა“	8	7	1	15
ცსკა	8	7	1	15
„სტროიტელი“	8	5	3	13
„სპარტაკი“ (ლ.)	8	4	4	12
„დინამო“ (თბ.)	7	4	3	11
სკა	7	3	5	11
რტი	8	3	5	11
ვეფი	7	3	4	10
„ყალევი“	7	3	4	10
„ყალგირისი“	8	2	6	10
„დინამო“ (მ.)	5	4	1	9
„სპარტაკი“	8	0	8	8

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲘᲗᲕᲐᲚᲐ

კალიფორნიის ქალაქ ლონგბიჩის (აშშ) მძლეოსნურ მანეჟში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების პირველსავე დღეს მსოფლიო რეკორდი (დარბაზებისათვის) დამყარდა. მისი ავტორია ცნობილი ამერიკელი მორბენალი ჰერმან ფრეზერი. მეტად არაპოპულარულ დისტანციაზე — 500 მეტრზე, მან აჩვენა დრო 1 წუთი და 01,2 წამი.

ყველანი მოუთმენლად ელოდნენ სარბენ ბილიკზე ოლიმპიური ჩემპიონის ახალზელანდიელი ჯონ უოკერის გამოჩენას. ამ ათლეტმა კარგა ხნის წინ მძიმე ტრავმა მიიღო და ოპერაცია გაიკეთა, რის გამოც დროებით ჩამოშორდა სპორტს. და აი, უოკერის პირველი სტარტი მსოფლიო სარეკორდო დროით აღინიშნა: 1500 მეტრი მან 3 წუთსა და 37,4 წამში დაფარა. მაგრამ ეს შედეგი მსოფლიო რეკორდად მაინც არ ჩაითვლება, რადგან ამ დროს ელექტროწამმზომი გამოირთო.

ᲛᲝᲙᲚᲐᲓ

ᲤᲘᲖᲘᲣᲠᲘ ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲑᲐ. გამოვლინდნენ ზაპოროჟიეში მიმდინარე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი გამარჯვებულები. წყვილთა შორის ოქროს მედლები მოიპოვეს მოსკოველებმა მარინა ჩერკასოვამ და სერგეი შახრაიმ. ვერცხლი წილად ხვდათ სვერდლოვსკელებს მარინა პეტროვასა და სტანისლავ ლეონოვიჩს, ბრინჯაო — ლენინგრადელებს ირინა ვოროზეიკოვასა და იგორ ლისოვსკის.

ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲘᲗᲘ. დამთავრდა „მფრინავ მოთხილამურეთა“ ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება — „ოთხი ტრამპლინის ტურნე“. მასში ჩინებულად იასპარეზა ფინელმა მხტომელმა პენტი კოკონენმა, რომელმაც ორჯერ პირველი და ამდენჯერვე მესამე ადგილი დაიკავა. საბოლოო ჯამში მან 815,6 ქულა დააგროვა და მიიღწევული შეიქმნა მეტოქეებისათვის. მეორე ადგილზე გავიდა შვეიცარიელი ჰანს იორგი, მესამეზე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი იოჰენ დანებერგი.

ᲰᲐᲓᲠᲐᲯᲘ. ჰოლანდიის ქალაქ ხას-ვან-ენენში დამთავრდა 17 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ოქროს მედალი მოიპოვა შოტლანდიელმა პოლ მოტვანმა, ვერცხლი — კუბელმა ხოსე ხუერგომ, — ბრინჯაოს — ინგლისელმა ნიჯელ შორტმა. საბჭოთა მოჭადრაკე პეტრე კორზუბოვი მეოთხე ადგილს დასჯერდა.

რაც შეეხება **ᲰᲐᲡᲢᲘᲜᲒᲡᲘᲡ** (ინგლისი) ტრადიციულ საერთაშორისო საახალწლო ტურნირს, იქ კვლავ იგდო ხელთ ლიდერობა მასპინძელმა ჯონატან სპილმენმა — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია. საბჭოთა მოჭადრაკეს ალექსანდრე კოჩიევს 6 ქულა აქვს.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝ�პᲘ

„ᲢᲔᲛᲞᲛᲝ“ ᲬᲔᲠᲡ

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘᲡ ილუსტრირებულმა ჟურნალმა „ტემპომ“ შეადგინა ევროპის იმ ნაკრებებისა, რომელთაც ყველაზე დიდი წარმატებები ჰქონდათ 1946-1978 წლებში.

პირველი ადგილი მიეკუთვნა ინგლისის ნაკრებს, მეორე გფრ-ს გუნდს, მესამე — უნგრელებს, მეოთხე — საბჭოთა ფეხბურთელებს.

მომდევნო ადგილებზე არიან იტალიის, შვეიცის, ესპანეთის, იუგოსლავიის, შოტლანდიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებები.

ᲓᲘᲡᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ უნგრეთის ნაკრების მწვრთნელმა ფერენც კოვაჩმა თხოვნით მიმართა ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის ახლად არჩეულ პრეზიდენტს, გამოჩენილ რადიო და ტელეკომენტატორ დიერდ სეპეშის, დისკვალიფიკაცია გაუუქმებინა ორი ცნობილი ფეხბურთელისათვის ნილაშისა და ტერეჩიკისათვის. ისინი არგენტინიდან დაბრუნების შემდეგ ერთი წლით დისკვალიფიცირებულნი იქნენ უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ.

ახლა უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა შესაძლებლად ჩათვალა ნილაშისა და ტერეჩიკისათვის დისკვალიფიკაციის დარჩენილი ვადის პატიება და ორივე მათგანი ეროვნულ ნაკრებს დაუბრუნეს.

ᲛᲐᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲫᲐᲬᲧᲓᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ფიფას სამდივნო იუწყება, მაისში ციურიხში გაიმართება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საგანგებო კონგრესი, რომელიც უმნიშვნელოვანეს საკითხს გადაწყვეტს — რამდენი გუნდი ითამაშებს 1982 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში — 16 თუ 24.

მწვრთნელების ასზრით

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ პირველი ლიგის თექვსმეტივე გუნდის მწვრთნელს დაურიგდა ანკეტა. მათ უნდა დაესახელებინათ ქვეყნის № 1 ფეხბურთელი.

როდესაც ანკეტების შედეგები შეჯამდა, აღმოჩნდა, რომ უპირატესობა მიეცა ნაკრებისა და ვიჩენცის „ლანეროსის“ ცენტრალური თავდამსხმელ პაოლო როსის. მეორე ადგილი დარჩა ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ მცველ ანტონიო კაბრინის.

1978 წლის 18 იანვარს, 15 - საათზე მოწვეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ლია სხდომა, რომელიც განიხილავს გამოუნახავ ქართველი მათემატიკოსის, მიხეილ ბუსალეიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიაზე წარდგენილ ნაშრომებს.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

სხდომა შედგება მათემატიკის და ფიზიკის განყოფილებაში, ზ. რუხაძის ქ. № 1.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „სამი კაკალი კონკიასათვის“. (ფერადი), 17.00 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა (ფერადი), 17.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „მაწანწალა რასმუსი“, II სერია. პრემიერა (მოსკოვიდან), 19.00—„უმაღლესი საბჭოს არჩევნები“, 20.25— დოკუმენტური ფილმი „ხუთი დღე და ერთი დილა“ (ქართულ ენაზე) ფერადი, 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.25 — „ქართული მუსიკის სიახლენი“. უკრავს საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინ